

მუროან ბორბოშაძე

---

საუბრებო  
მრთვენულ  
წნობიერებზე

მურმან გორგოლაძე

**საუბრები ერთნულ  
წიტიერებზე**



ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“  
ბათუმი - 2016

„საუბრებში“ მოკლედაა მიმოხილული ეროვნული ცნობიერების ცნების, შინაარსის, სტრუქტურის, ეროვნული ცნობიერების ეროვნულ თვითცნობიერებასთან და რელიგიასთან მიმართების რამდენიმე თეორიული ასპექტი; მოთხრობილია ეროვნული ცნობიერების სიმყარისა და მისი საფრთხეების შესახებ; მოცემულია ერისა და სახელმწიფოს ურთიერთმიმართების რამდენიმე მოდელი.

**რედაქტორები:** პროფესორი **მალხაზ ჩოხაერაძე**  
ფილოსოფიის დოქტორი **აბესალომ ასლანიძე**

**რეცენზენტები:** პროფესორი **გურამ ჩაგანავა**  
ასოც. პროფესორი **ზაზა შაშიკაძე**

**ISBN 978-9941-460-24-1**

**© ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ - 2016**

## ეროვნული ცნობიერების შესწავლის აუცილებლობა და მნიშვნელობა

თანამედროვე გლობალური და პლანეტარული მასშტაბის ცნობიერების გაჩენასთან ერთად გარკვეული საფრთხის ქვეშ მოექცა ეროვნული ცნობიერება და ეროვნული თვითცნობიერება. გლობალური ტრანსფორმაციები ძირეულად ცვლის არსებულ მსოფლწყობას. იუნესკოს მონაცემებით, მსოფლიოს 6900 ენიდან 2000 მომაკვდავი ენაა<sup>1</sup>. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანთა ცხოვრების სტანდარტიზაცია და კულტურული სივრცის უნიფიკაცია ავიწროებს ეროვნულ კულტურებს და, შესაბამისად, ეროვნულ ცნობიერებას, რომელთა არსებობა, დაცვა და განვითარება მთლიანად დამოკიდებულია ეთნიკურ და ეროვნულ იდენტობაზე. ეს პრობლემები ცალკეული ერების ეროვნული თვითშეგნების დევალვაციაში იჩენს თავს,

---

<sup>1</sup> Марьяна Напсо, Право на этническую идентичность: правовые и социально-философские аспекты признания в современных условиях // Государство и право, 2011, № 8, стр. 20.

რაც განსაკუთრებით აქტუალურია მცირე ერების ეთნო-ეროვნული განვითარებისთვის.

აღნიშნულ საფრთხეზე ერთგვარ რეაქციას წარმოადგენს ის თავისებური „ეთნიკური რენესანსი“,<sup>1</sup> თანამედროვე სამყარო რომ განიცდის. ამ პროცესებში საქართველო, როგორც მცირერიცხოვანი ერი, ყოველთვის იყო ჩართული. ეროვნული ცნობიერების და საერთოდ ეროვნული პრობლემატიკის თეორიული საკითხები მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოში საფუძვლიანად დამუშავდა ძირითადად არჩილ ჯორჯაძის, მისაკო წერეთლის, დიმიტრი უზნაძის, კონსტანტინე კაპანელის და სხვათა მიერ. მათ, აღნიშნული მიმართულებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცეფცია გამოკვეთეს, თუმცა, სამწუხაროდ, ამ კონცეფციებიდან არცერთს არ განუცდია განვითარება-გაძლიერება და შემდგომი დამუშავება მომდევნო თაობის მკვლევართა მიერ<sup>2</sup>. შეგროვებულია დიდძალი ეთნოლინგვისტური მასალა, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველების შესახებ,

---

<sup>1</sup> Общая теория государства и права. Академический курс в 2-х томах // Отв. Ред. Проф. М. Н. Марченко, т.1, М., 1998, стр. 392.

<sup>2</sup> მამუკა ჩხაიძე, ქართული ცნობიერების მეცნიერული კვლევის სათავეებთან // "დღევანდელი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების პრობლემები", სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენცია, თბ., 1998, 1, გვ. 130.

რომელიც ეროვნული ცნობიერების პრობლემატიკის ჭრილში თეორიულ გააზრებას მოითხოვს. ასე რომ, ქართული თეორიული მეცნიერებანი ვალშია თანამედროვე ქართული „ქართველთმცოდნეობისა“ თუ „ქართველოლოგიის“ წინაშე. არადა, უცხოეთში კომპაქტურად მცხოვრები, ეთნიკური ქართველების ეთნოლინგვისტურ კვლევასთან ერთად, მნიშვნელოვანად გვესახება იმ თეორიული საკითხების მეცნიერული კვლევა, რომელიც ხელს შეუწყობდა მათი ყოფის უკეთ გაგებას. თეორიული კვლევის ერთ-ერთ ასეთ მიმართულებას ეროვნული ცნობიერებისა და თვითცნობიერების შესწავლა წარმოადგენს. ამ მიმართულებით კვლევის განვითარება-გაღრმავება საინტერესო და აუცილებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ ვიკვლევთ რა, ვთქვათ, თურქეთელ ქართველებს, ბუნებრივია, იბადება კითხვა – რა დაემართა მათ ეროვნულ ცნობიერებას. ეთნიკური ქართველები ჯერ კიდევ „ნახევრად დაღეჭილ“ „სოციალურ მასალას“ წარმოადგენენ რომელიმე დიდი ერის ხელში „ეროვნულ ელემენტად გარდაქმნისთვის“<sup>1</sup>, თუ უკვე მოხდა მათი ასიმილაცია სხვა ერებში და ისინი

<sup>1</sup> მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990, გვ. 102.

დღეს არათუ ქართველი ერის, არამედ ქართული ეთნოსის ელემენტებსაც აღარ წარმოადგენენ?

ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე მართლმადიდებელი ქრისტიანობის გავლენა და როლი შესწავლილია, მაგრამ სხვა რელიგიების როლი და გავლენა ეროვნულ ცნობიერებაზე<sup>1</sup> და ზოგადად, რელიგიური იდენტობის<sup>2</sup> საკითხი, ფაქტობრივად, თითქმის შეუს-

---

<sup>1</sup> გასული საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს ამ საკითხის შესწავლის ერთგვარ ცდას წარმოადგენს დავით გეგეშიძის სტატია „ქართული ეროვნული ცნობიერება და რელიგიები“ // ფილოსოფიური ძიებანი, 1999, #3, გვ. 269-283; ამ საკითხებზე აქტიურად მუშაობს და საინტერესო კვლევებს ახორციელებს ცირა ფუტყარაძე, იხ., მისი „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებები და ღირებულებითი ორიენტაციები“ ნაწილი პირველი, ბათუმი, 2011; „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მე - კონცეფცია“ // ინტელექტი, 2004, #1(18); „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის ცნების მნიშვნელობის ასახვა ქართველის ცნობიერებაში“ // ქესჟ, განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2005, #1(6); „Христианская И Магометанская Религия В Аджарии - Краткий Психологический Анализ“ // ქესჟ, განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2005, #2(7) და სხვა; საინტერესოა, აგრეთვე, ია წულაიას გამოკვლევა „ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებითი პრიორიტეტები“ // ზღვარი, 2003, №1.

<sup>2</sup> მხატვრულ ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი გაიაზრეს „ეროვნული ცნობიერების პოეტად“ (იური ბიბილიევილი, გაზეთი „აჭარა“, 02.01.2004) შერაცხულმა ფრიდონ ხალვაშმა, იხ., ფრიდონ ხალვაში, შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი, ბათუმი, 1994; ასევე, ზურაბ გორგილაძემ თავის შემოქმედებაში მისთვის ჩვეული ოსტატობით, სიფრთხილითა და სიფაქიზით დასვა აჭარის

წავლელია. მის შესასწავლად, უპირველესად, უნდა ვიცოდეთ, რას წარმოადგენს ზოგადად ეროვნული ცნობიერება და ეროვნული თვითცნობიერება, რა ნიშნებით ხასიათდება იგი, როგორ და რა სახის ზემოქმედებას ახდენს მათზე რელიგია, რაა საჭირო იმისათვის, რომ შენარჩუნდეს ეროვნული ცნობიერება და ეროვნული თვითშეგნება, რა თაუერფენომენალური თვისებებით ხასიათდება ქართული ხასიათი და სხვა.

აღნიშნული საკითხების კვლევა სხვა მხრივაცაა საინტერესო და პრაქტიკული დანიშნულების მქონე, ცნობილია, რომ თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოთა შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციის მიზეზებს და წანამდვრებს ეროვნულ ცნობიერებაში მიმდინარე ეთნიკური და რელიგიური პროცესები წარმოადგენენ, ამიტომ პროგნოზულ მნიშვნელობას იძენს რელიგიისა და ეთნიკურობის, რელიგიისა და ერის იდენტობისა და მათი გავლენების კვლევა ეროვნული ცნობიერების ფორმირებასა და მოტივაციაზე.

---

მკვიდრთა რელიგიური იდენტობის საკითხი, იხ., შორენა მახაჭაძე, რელიგიური იდენტობის პრობლემა ზურაბ გორგილაძის პოეზიაში // ზათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი, თბ., 2015. ტ. VII, გვ. 190 და სხვებმა.



## **შპს-ის პოლიტიკა**

---

ჩვენი მოკრძალებული მიზანია წინამდებარე „საუბრებში“ ეროვნული ცნობიერებისა და თვითცნობიერების, ერისა და სახელმწიფოს მიმართების რამდენიმე თეორიულ ასპექტს შევხვით.

## ეროვნული ცნობიერების არსი, ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები

ადამიანის არსება მის სუბიექტად ყოფნაშია. სუბიექტის ბუნება კი მის ცნობიერებაში ვლინდება<sup>1</sup>. ეროვნული ცნობიერება ცნობიერების ერთ-ერთი სახეა და იგი, ისევე, როგორც ზოგადად ცნობიერება, სპეციფიკურ-ადამიანური თვისებაა. ცნობიერება ადამიანის არსებითი ნიშანია, მისი არსობრივი განსაზღვრულობა და სიცოცხლის ტოლფარდი, თანაბარმოცულობითია<sup>2</sup>. ადამიანის მოქმედება, შემოქმედება თუ სხვა ტიპის გარკვეულობანი ცნობიერების საფუძველზე იკვეთება, ცნობიერებით საზრდოობს. ცნობიერება, ზოგადად, იდეებისა და შეხედულებების, ღირებულებებისა და იდეალების, მათი შესატყვისი გრძნობებისა და ემოციების ერთობლიობაა. ცნობიერება არის ადამიანის უნარი – განიცადოს, შეაფასოს და შეიმეცნოს სინამდვილე და მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი მოქმედების შესახებ. ცნობიერება საშუალებას გვაძლევს წინასწარ

---

<sup>1</sup> ვახტანგ მენაბდიშვილი, თვითშემეცნება როგორც ფენომენალური შემეცნება, ქუთაისი, 2009, გვ. 5.

<sup>2</sup> ანრი ბერგსონი, ცნობიერება და სიცოცხლე, თბ., 2007, გვ. 21.

გავითვალისწინოთ მომავალი შესაძლო ქცევა, შევაფასოთ იგი მისი ღირებულებების მიხედვით და მოვახდინოთ არჩევანი<sup>1</sup>.

ეროვნული ცნობიერება, როგორც აღვნიშნეთ, ცნობიერების ერთ-ერთი სახეა. ეროვნული ცნობიერება ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი კატეგორიაა და წარმოადგენს ეროვნულ-ეთნიკური თავისებურებების საფუძველზე წარმოშობილ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ და სხვა შეხედულებების ერთობლიობას, რომლის შინაარსსაც განაპირობებს ადამიანთა ამა თუ იმ ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფის ცხოვრებისა და განვითარების დონე. იგი ერთგვარი „რაციონალური ზედნაშენი“, „ზედა სართულია“ ეროვნული ხასიათისა და ერის ფსიქიკური წყობისთვის. ეროვნული ცნობიერება თავისთავში მოიცავს ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფის დამოკიდებულებას საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებთან, წარსულთან და მომავალ ამოცანებთან, ზოგადად, ერისა და ეთნოსის ისტორიული განვითარების პროცესთან. იგი ერის სასიცოცხლო ინტერესების მომცველი

---

<sup>1</sup> ოთარ ტაბიძე, ადამიანის გონითი ყოფიერების პრობლემა // ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწილი VII, თბ., 1993, გვ. 8.

იდეებისა და გრძნობების ერთობლიობაა. შესაბამისად, ეროვნული ცნობიერების შინაარსს მიეკუთვნება ცნობიერების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ერის ძირეულ ინტერესებს, იდეალებსა და ღირებულებებს, ადათ-წესებსა და ტრადიციებს, ცხოვრებისა და საქმიანობის წესს ეხება. ერთი სიტყვით, იგი გამოხატავს ერის ინდივიდუალობას, თვითმყოფადობას, ხასიათსა და სულისკვეთებას, ტემპერამენტსა და ცხოვრების მანერას<sup>1</sup>.

ეროვნული ცნობიერება, როგორც ცნობიერების ერთ-ერთი სახე, ხასიათდება ცნობიერების ყველა იმ ნიშნით, რაც ზოგადად ცნობიერებისთვისაა დამახასიათებელი, კერძოდ:

1. ეროვნული ცნობიერება, როგორც ცნობიერების სახე, სპეციფიურ-ადამიანური თვისებაა;
2. ეროვნული ცნობიერება ხელს უწყობს ადამიანის სუბიექტად ყოფნას;
3. ეროვნული ცნობიერება ადამიანის არსებითი განსაზღვრულობაა;

---

<sup>1</sup> ვახტანგ ერქომაიშვილი, ერი და იდეოლოგია // ვახტანგ ერქომაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002, გვ. 400-401.

4. ადამიანის მოქმედება-შემოქმედება ეროვნული ცნობიერების საფუძველზე იკვეთება და მისით საზრდობს;

5. ცნობიერება აერთიანებს ემოციურ, შექმნებით, შეფასებით და ნებელობით აქტებს<sup>1</sup>. შესაბამისად, ეროვნული ცნობიერებაც მონაწილეობს სინამდვილის განცდაში, მის შეფასებაში, შექმნებასა და გადაწყვეტილებების მიღებაში;

6. ეროვნული ცნობიერება ადამიანის არსობრივი განსაზღვრულობაა და მისი ძირეული მახასიათებლების მიმართ გარეგანადმწვდომია;

7. მიზანი, ფსიქიკა და ნებელობა ცნობიერების ფუნდამენტური ნიშნებია<sup>2</sup>. შესაბამისად, ეროვნული ცნობიერებაც ხასიათდება ამ ნიშნებით და მასზე დაყრდნობით ხდება ადამიანის მომავალი შესაძლო ქცევის დაგეგმვა და სხვა.

ეროვნული ცნობიერება შემდეგი სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდება:

---

<sup>1</sup> ჯანსუღ კორძია, ქართული ეროვნული ცნობიერება, როგორც ქართული ფენომენის განმსაზღვრელი // ჩვენ-ქართველნი, თბ., 1998, გვ. 171.

<sup>2</sup> სერგი ავალიანი, ჩემი განვლილი ფილოსოფიური ცხოვრების ნიშანსვეტები, თბ., 2013, გვ. 123.

1. ეროვნული ცნობიერება არის ადამიანის უნარი – ეროვნულობის იდეის მეშვეობით აითვისოს გარე სამყარო, იქონიოს მასზე წარმოდგენა, დაამყაროს მიმართება სინამდვილესთან, იცოდეს საკუთარი მდგომარეობა, მიზანი და ადგილი სამყაროში;
2. ეროვნული ცნობიერება ეროვნული ფენომენის განმსაზღვრელი ფაქტორი და საფუძველია;
3. ეროვნულ ცნობიერებას შემკრებლობითი ძალა გააჩნია;
4. ეროვნული ცნობიერება აახლოებს ადამიანებს;
5. ეროვნული ცნობიერება უყალიბებს ადამიანებს განსხვავებულობის შეგნებას;
6. ეროვნული ცნობიერება უყალიბებს ადამიანებს ერთიანობის შეგნებას;
7. ეროვნული ცნობიერება უყალიბებს ადამიანებს დამოუკიდებლობის შეგნებას;
8. ეროვნული ცნობიერება კოლექტიურ ყოფნას აზრსა და მნიშვნელობას აძლევს იმდენად, რამდენადაც მისი შემკრებლობითი ძალა ემსახურება თითოეული პიროვნებისა და ერის წინსვლასა და განვითარებას;
9. ეროვნული ცნობიერება წარმოადგენს ერის თვითჩენის მთავარ საშუალებას;

10. ეროვნული ცნობიერება ადამიანის ეროვნული გამორჩეულობის საფუძველია;

11. ეროვნული ცნობიერების საშუალებით ხდება საკუთარი ერის განსხვავება სხვა ერისაგან, საკუთარი თავის, როგორც გარკვეული ერის წარმომადგენლის, ცოდნა;

12. ეროვნული ცნობიერება ეროვნული ნიშნით ახდენს სიტუაციის შეფასებას, შემდეგ კი აფიქსირებს ამ სიტუაციასთან საკუთარ დამოკიდებულებას;

13. ეროვნული ცნობიერება ქმნის სხვა ერების ურთიერთგაგებისა და მათთან თანაარსებობის საფუძველს;

14. ეროვნული ცნობიერება, ზოგადად ცნობიერებისაგან განსხვავებით, არ გამოირჩევა შეცვლილ სიტუაციაზე სწრაფი რეაგირების უნარით. მას უჭირს შეცვლილ სიტუაციაში ახლებურად მოქმედების გადაწყვეტილების მიღება;

15. გარკვეული ერის წარმომადგენელთა ეროვნული ცნობიერება სხვა ერების გარემოცვაში ყოფნისას მტკიცდება, შეუვალი ხდება, იცავს და იმკვიდრებს თავს;

16. საკუთარი ერისაგან მოწყვეტით, სხვა ერების გარემოცვაში, მაცოცხლებელი ძირების გარეშე, ხანგრძლივი ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად იწყება

ეროვნული ცნობიერების რღვევა, იწყება ეროვნული ცნობიერების ერთგვარი კრიზისი, იგი ვერ უძლებს რეალობის პერმანენტულ შემოტევას და თავის გადასარჩენად ახალი ღირებულებითი სისტემების შენებას იწყებს, ან კიდევ ძველს ისეთი ახლებური მსოფლმხედველობით აფუძნებს, რომელიც გაამართლებდა მის შეცვლილ დამოკიდებულებას საკუთარი ეროვნული იდენტობისადმი.

აღნიშნული ნიშნები კარგად ახასიათებენ ეროვნული ცნობიერების სპეციფიკას, მათზე დაყრდნობით შესაძლებელი ხდება ეროვნული ცნობიერების ცნებისა და არსის გაგება.



## ეროვნული ცნობიერების შინაარსი და ადგილი ცნობიერების სტრუქტურაში

ეროვნული ცნობიერების შინაარსს, ისევე, როგორც ზოგადად ცნობიერების შინაარსს, ცნობიერის, არაცნობიერისა და ქვეცნობიერის მოქმედებით ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მიმდინარე ემოციური, შეფასებითი, შემეცნებითი და ნებელობითი პროცესები ქმნიან. ეროვნული ცნობიერების შინაარსიც ცნობიერების ამ სტრუქტურული ელემენტებით ყალიბდება და ვლინდება. ოღონდ, მის ფორმირებასა და გამოვლენაში ცნობიერების აღნიშნული სტრუქტურული ელემენტები სხვადასხვა როლს თამაშობენ. შემეცნებითი ცნობიერება, რომელიც ინტერეროვნულია და რომლის მიზანიცაა საგნობრივი ვითარების შესახებ ჭეშმარიტი ცოდნის დადგენა, უფრო ნაკლებ როლს თამაშობს ეროვნული ცნობიერების შინაარსის ფორმირებასა და გამოვლენაში, ვიდრე ემოციური და შეფასებითი ცნობიერება. ეს იმიტომ, რომ ადამიანის ცნობიერი მიმართება სინამდვილეზე არ ამოიწურება მხოლოდ შემეცნებითი აქტით. ცოდნა არსებულის შემეცნების

შედეგად მიღებული გარკვეულობაა, მაგრამ სინამდვილისადმი ადამიანის მიმართება შეფასებით ელემენტსაც მოითხოვს. სინამდვილისადმი შემეცნებითი მიმართებით ყალიბდება რეალობის, როგორც გარკვეული საგნობრივი ვითარების შესაბამისი ცოდნა. ეს ცოდნა არაფერს გვეუბნება ადამიანის რეალობასთან დამოკიდებულების შესახებ. სინამდვილეზე შემეცნებითი მიმართებისას შემეცნების სუბიექტს სინამდვილე უნდა აინტერესებდეს როგორც მხოლოდ შემეცნების ობიექტი და არა, რაღაც გარკვეული მნიშვნელობის მქონე მოვლენა. ეროვნული ცნობიერების ერთ-ერთი თავისებურება კი იმაში მდგომარეობს, რომ მასში მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან შემეცნებითი, ემოციური და შეფასებითი ანუ გნოსეოლოგიური და აქსიოლოგიური მომენტები. ეს თავისებურება ადამიანის, როგორც მიზანმიმართული არსების თავისებურებიდან გამომდინარეობს. იგი, როგორც მიზანმიმართული არსება, ცდილობს, საზოგადოებრივი ცხოვრების დინებაში საკუთარი ინტერესები და მისწრაფებები, მათ შორის ეროვნული, ჩააქსოვოს. ამ მიზნის განხორციელება კი სინამდვილის მხოლოდ შემეცნებით შეუძლებელია. შემეცნებითი სინამდვილე, ანუ თეორიული ცოდნა ერის, მისი თავისებურების, არსის და ა.შ. შესახებ, მიზნობრივად რომ განხორციელდეს, იგი უნდა შეფასდეს. მართალია, „შე-

მეცნება პრაქტიკული მოღვაწეობის სერიოზული წანამ-  
ძღვარია, მაგრამ ადამიანის საქმიანობა, შემეცნების გარ-  
და, გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას, ამორჩევას  
სხვადასხვა ალტერნატივას შორის<sup>1</sup>. შემეცნება არ აფა-  
სებს შესამეცნებელს. მაგრამ შეფასება შემეცნებიდან ამო-  
დის. რეალობის შეფასება მისდამი ემოციონალური დამო-  
კიდებულების შედეგია. ადამიანი მის გარემომცველ სინამ-  
დვილეში მოქმედებს არა მხოლოდ გონებით, არამედ გა-  
ნიცდის მას გრძნობებით, ემოციებით, მოთხოვნილებებით,  
ინტერესებით, წარმოდგენებით და ა.შ. სწორედ მათზე  
დაყრდნობით აფასებს იგი ამ სინამდვილეს და თავის და-  
მოკიდებულებას სიყვარულით, სიძულვილით, იმედით,  
უიმედობით თუ სხვა სახის ემოციური განწყობით გამოხა-  
ტავს. ასე იქმნის ადამიანი თავის შინაგან სუბიექტურ სამ-  
ყაროს და სმენის, ხედვის, განცდის, მსჯელობის, აზროვ-  
ნების, ლაპარაკის, ოცნებისა და სიყვარულის საშუალე-  
ბას<sup>2</sup>. ცნობიერების შეფასებითი მხარე სინამდვილეს განი-  
ხილავს სუბიექტის ინტერესებთან, მიზნებთან, მისწრაფე-  
ბებთან მიმართების მიხედვით. ადამიანის მიერ სამყაროს  
მოვლენათა შეფასება ხორციელდება ორ – ემოციურ და

---

<sup>1</sup> გიორგი შუშანაშვილი, ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, თბ. 1990, გვ. 63.

<sup>2</sup> სულხან ცაგარელი, ცნობიერება, თბ., 2008 გვ. 9.

თეორიულ დონეზე<sup>1</sup>. შეფასების ორივე დონე ადამიანის სუბიექტური დამოკიდებულების გამომხატველია, მაგრამ, განსხვავებით ემოციურისაგან, თეორიული შეფასება ხორციელდება არა მხოლოდ გრძნობების, არამედ რაციონალური გააზრების საფუძველზეც. ამიტომ თუ ემოციური შეფასება წმინდა სუბიექტურ-ინდივიდუალურია, თეორიული – სუბიექტურ-ობიექტურია, მას ობიექტურობის პრეტენზია აქვს რაციონალური, აზრისეული საფუძვლის გამო. თეორიული შეფასება არ არის მხოლოდ პიროვნული და ინდივიდუალური, იგი ობიექტურია, სხვებისთვისაც სავალდებულოა და მის ამ ობიექტურობასა და სხვებისთვისაც სავალდებულობას მისი გარკვეულ ღირებულებაზე დაფუძნება განაპირობებს. „ღირებულება განისაზღვრება, როგორც ადამიანთა ჯგუფის წარმოდგენა იმის შესახებ თუ რა არის სასურველი, მისაღები, კარგი ან ცუდი“<sup>2</sup>, ამიტომ სინამდვილის თეორიული შეფასება გარკვეულ ღირებულებებზე დაფუძნებული შეფასებაა და ამდენად ობიექტურის პრეტენზიის მქონეა. ერი ღირებულებაა, მიზანია, ამიტომ სინამდვილის შეფასება ამ ღირებულებასთან მიმართებაში ხდება. ეროვნული ცნობიერების

---

<sup>1</sup> ვახტანგ ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ. 2001, გვ. 182.

<sup>2</sup> Гидденс Э. Социология, М., 1999, стр. 674.

შინაარსი შესაბამისი ეროვნული ღირებულებიდან ამო-  
დის.

მაშასადამე, ეროვნული ცნობიერების შეფასებითი  
დამოკიდებულება სინამდვილისადმი გულისხმობს ეროვ-  
ნულის მიმატებას შემეცნების გზით მიღებულ ცოდნაზე.

როგორც ვნახეთ, ემოციური და შეფასებითი ცნობიე-  
რება ღირებულებებს ეფუძნება და მათ საფუძველზე მიღე-  
ბული ცოდნა შეფასებითი ხასიათისაა, განსხვავებით შე-  
მეცნების გზით მიღებული ცოდნისაგან, რომელიც ჭეშმა-  
რიტება-მცდარობის ხასიათისაა და არა შეფასებითი. აქე-  
დან გამომდინარე, ეროვნული ცნობიერების გამოვლენა  
უფრო ემოციური და შეფასებითი ელემენტებით ხდება,  
ვიდრე შემეცნებითი. „ყოველი ერი სულდგმულობს, არ-  
სებობს, ცოცხლობს და მოღვაწეობს თავისი საკუთარი,  
გამოკვეთილი იდეალებით და ღირებულებებით, რაც გარ-  
კვეულ ზეგავლენას, ხშირად გადამწყვეტ ზეგავლენას,  
ახდენს ცნობიერების ნებელობით აქტებზე“<sup>1</sup>.

მართლაც, შეფასებით ცნობიერებაში „მოხვედრილი“  
ნებისმიერი საგანი თუ მოვლენა, უფრო მეტია, ვიდრე მისი  
გრძნობად-კონკრეტული შინაარსი, ვიდრე მისი შემეცნე-  
ბითი ცნობიერებით გადმოცემული სინამდვილის, საგნობ-

---

<sup>1</sup> ჯანსუღ კორძაია, ეროვნული ცნობიერების რაობის შესახებ // რანი  
ვართ ქართველნი, 1997, #2, გვ. 5.

რივი ვითარების ადეკვატური ცოდნა. შეფასებისას საგნობრივ ცოდნას ემატება გარკვეული ღირებულებებიდან გამომდინარე ცოდნა. ამ ღირებულებებისა და ღირებულებათა იერარქიის დადგენაში მნიშვნელოვანი წვლილი ერს, როგორც ღირებულებას ეკუთვნის. პიროვნების ცნობიერება ფორმირდება მოაზრებადი ჭეშმარიტებებით და არა არსებული გარემოებებით<sup>1</sup>. ამიტომ საგნობრივი ვითარების შინაარსი ცნობიერების შინაარსად გარდაქმნამდე გაივლის ცნობიერებაში მიმდინარე როგორც ემოციურ, ასევე შეფასებით აქტებს და ვიდრე ნებელობით აქტად გადაიქცეოდეს (ქმედებაში გამოიხატებოდეს), ნაზიარებია ეროვნულ ცნობიერებასაც. ეროვნული ცნობიერება ცნობიერების შინაარსის ერთგვარ „გაჟღერებას“ ახდენს და მუხტავს მას დამატებითი მოტივაციით.

მაშასადამე, ეროვნული ცნობიერების შინაარსი – ერზე, როგორც ჯერარსულ მოვლენაზე და ერზე, როგორც განხორციელებულ ჯერარსზე შემეცნებითი, შეფასებითი და ღირებულებითი მიმართებით დადგენილი ცოდნისა და შეხედულებების ერთობლიობას წარმოადგენს. ეროვნული ცნობიერება ერის წარსულის მეხსიერებაა. იგი იმანსოვ-

<sup>1</sup> გ. ნათამე, მ. ჯიშვარიანი, ქართული ცნობიერება, თბ., 1999, გვ. 99, 33.

რებს ერის წარსულს, ინარჩუნებს და ახსოვს იგი. ეროვნული ცნობიერება აწმყოში ერის წარსულის კონსერვაცია და აკუმულაციაა. ამავე დროს ეროვნული ცნობიერება ერის მომავლის განჭვრეტა, მისი მომავლის წინასწარი გამოცნობაა, ერთგვარი შეჭრაა ერის მომავალში. არ არსებობს ეროვნული ცნობიერება ერის მიმართ გარკვეული ყურადღების გარეშე. ეროვნული ცნობიერების ფუნქციაა იმის დამახსოვრება, რაც ერს უკვე მოუვიდა, ანუ რაც უკვე იყო და იმის წინსწრება, რაც აწი მოუვა, ანუ რაც ჯერ არ არის. ეროვნული ცნობიერება მოწოდებულია გარკვეული გადაწყვეტილების მისაღებად.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეროვნული ცნობიერების შინაარსი თავისი სტრუქტურით საკმაოდ რთული და მრავალფენიანი წარმონაქმნია, მრავალი თაობის ბუნებრივ-ბიოლოგიური, სოციალური და შემეცნებით-ღირებულებითი გამოცდილების თავისებური ისტორიული სინთეზია.

იბადება კითხვა – ცნობიერების რომელ სტრუქტურულ ელემენტში შეიძლება მოვათავსოთ ეროვნული ცნობიერება? ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, შეფასებითი ცნობიერება, რომელიც ღირებულებებს ემყარება და ღირებულებანი, რომლებიც მიზნებსა და იდეალებს ემყარებიან, არა მხოლოდ ავლენენ, არამედ წარმო-

ადგენენ კიდევ ეროვნულ მომენტს ცნობიერებაში. ამიტომ ეროვნული ცნობიერება ცნობიერების სტრუქტურაში შემავალი ელემენტებიდან უპირატესად შეფასებით და ღირებულებით ელემენტში შეიძლება მოვითავსოთ.



## ეროვნული ცნობიერების სტრუქტურა

ეროვნული ცნობიერება, ისევე, როგორც ზოგადად ცნობიერება, არსებობს როგორც ყოველდღიური, ასევე თეორიული ცნობიერების სახით. ამ დონეების მიხედვით, განსხვავდება მისი შინაარსის სტრუქტურული ელემენტები.

ეროვნული ცნობიერების ყოველდღიური დონე წარმოადგენს ეროვნულ-ეთნიკურ ფსიქოლოგიას ჩვეულებრივი, ყოფითი გაგებით, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული ეროვნულ ხასიათთან და მოიცავს მოთხოვნილებებს, ინტერესებს, სტერეოტიპებს, გრძნობებს, განწყობებს, ჩვეულებებს და სხვა. სხვანაირად თუ ვიტყვით, იგი ეროვნული ცნობიერების ემპირიული დონეა და იქმნება სტიქიურად, ცნობიერების ყოველდღიურ ცხოვრებასთან ურთიერთობით.

ყოველდღიური, მეტ-ნაკლებად ელემენტარული, „პირველადი“ ეროვნული ცნობიერება ვლინდება საკუთარი თავის გარკვეულ ეროვნულ-ეთნიკურ ჯგუფთან მიკუთვნების გაცნობიერებით. ეროვნულ-ეთნიკური

გრძნობები, შეხედულებები, ჩვევები ნორმები და ქცევის შაბლონები ასახავს პიროვნების ყოფით ღონეზე ეროვნული ღირებულებებისადმი კუთვნილებას. ისინი გამოწვეულნი არიან, გამოძინარეობენ ეროვნული ხასიათიდან, ძირითადად, ტერიტორიის, ენის, კულტურის, ტრადიციების, ხალხური წეს-ჩვეულებების, მთლიანობაში ყოველდღიური ცხოვრების პირობების ერთობლიობით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტორები სტაბილურობით გამოირჩევა და განსაზღვრავს კიდევ მასობრივი ყოველდღიური ეროვნული ცნობიერების კომპონენტების სტაბილურობას, ყოველდღიური ეროვნული ცნობიერება გარკვეული დინამიკითაც ხასიათდება, რაც, უპირველესად, დაკავშირებულია ადამიანის ფსიქიკის პლასტიურობისა და სინამდვილეზე რეაგირების შესაძლებლობით.

ყოველდღიური ეროვნული ცნობიერების ყველაზე დინამიურ ელემენტს ინტერესები წარმოადგენს. ახალი მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება ყოველდღიური ეროვნული ცნობიერების გარკვეულ მოდიფიცირებას მოითხოვს, წინააღმდეგობაში მოდის, ყოველდღიური ეროვნული ცნობიერების ნაკლებად მოძრავ ელემენტებთან, ვთქვათ, ძველ სტერეოტიპულ შეხედულებებთან, ჩვეულებებთან, ტრადიციებთან. რის შედეგ

გადაც შეიძლება წარმოიშვას შინაგანი წინააღმდეგობანი და ფსიქიკური კონფლიქტები, რასაც მოყვება ხოლმე ცვლილებები ემოციურ-მგრძობელობით სფეროში. ეს ემოციურ-მგრძობელობითი ცვლილებები შესაძრწევა მასის განწყობის დინამიკაში. განწყობილება, როგორც მოთხოვნილებების გამოხატვის საშუალება, ყველაზე მგრძობიარე ელემენტი ყოველდღიურ ეროვნულ ცნობიერებაში. შესაძლებელია განწყობილების შინაარსის სხვადასხვა, მათ შორის, რელიგიური და პოლიტიკური ფორმით გამოხატვა ანუ მათი გარკვეულ მიზნისკენ წარმართვა, რასაც მიმართავენ კიდევ პოლიტიკური თუ რელიგიური ლიდერები და კონტროლის ქვეშ აქცევენ მათ. მთლიანობაში ეროვნული ცნობიერების ემოციურ-განწყობითი სფერო ძლიერ ზეგავლენას ახდენს ეროვნული ცნობიერების მთელ კომპლექსზე.

ყოველდღიური ეროვნული ცნობიერების მეტ-ნაკლებად სტაბილურ და კონსერვატულ კომპონენტს წეს-ჩვეულებები და ტრადიციები წარმოადგენენ, რომლებიც ეფუძნებიან თაობების ღირებულებათა სისტემას და ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფის ისტორიულ მენსიერებას. წეს-ჩვეულებები და ტრადიციები გამოირჩევიან რა სიმტკიცითა და სიმყარით, ასრულებენ მომავალ

თაობათა ქცევის მარეგულირებელ და მასტაბილიზებელ ფუნქციას. წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დაცვა და კულტივირება ეროვნული ცნობიერების გაღვივების, თვითშენახვისა და ეროვნულ-კულტურული იდენტობის წინაპირობა, მათი სიმტკიცის გარანტიანია.

ხშირად, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების დაცვა, ერთადერთი რეაქციაა ასიმილაციის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც რეალურად ემუქრება მცირერიცხოვან ერს დიდი ერებისაგან და ამავე დროს ეროვნული თვითღამკვიდრების ფორმაცაა. იგი გვევლინება ერის გამოცდილების გადაცემისა და გაერთიანების საშუალებად, ეროვნული ერთობის ინტეგრაციისა და ეროვნული თვითცნობიერების გაღვივების ინსტრუმენტად.

ეროვნული გრძნობა ეროვნული ცნობიერების შემადგენელი კომპონენტია, მაგრამ ემპირიულ, ყოველდღიურ დონეზე, ამიტომ იგი უფრო სიმპათიების სფეროა და იკვებება წარმოდგენების მეშვეობით (მაგალითად, თურქეთელ ქართველებს, როგორც ჩანს, ეროვნული გრძნობა აქვთ უფრო, ვიდრე ეროვნული ცნობიერება ან ეროვნული თვითშეგნება). ეროვნული გრძნო-

ბის გაკაჟებით მიიღწევა გარკვეული და მკაფიო ეროვნული თვითშემეცნება.

ეროვნული ცნობიერების თეორიული დონე ეროვნული ცნობიერების უფრო მაღალი დონეა და გულისხმობს ეროვნული ცნობიერების რაციონალურ-იდეურ დონეს, ეროვნულ იდეოლოგიას, რაც გამოიხატება მეცნიერულად გაფორმებული სისტემატიზებული თეორიული კონსტრუქციებით, იდეოლოგიური შეხედულებებით, იდეებით, პროგრამებით, ნორმებით, ღირებულებებით და სხვა. ეროვნული ცნობიერების თეორიული დონე იქმნება ერის ყოველდღიური მოთხოვნილებების, წარმოდგენების, განწყობილებების, მისწრაფებების და სხვა, სისტემატიზაციის, ანალიზის გზით. თეორიული ეროვნული ცნობიერება ყოველდღიური ეროვნული ცნობიერების გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პოზიციიდან შეფასებაა. იგი თავისთავში მოიცავს ერის მიერ განვლილი ისტორიის, მისი დღევანდელი მდგომარეობისა და განვითარების, მიზნების, პროგრამების თვითშეფასების განზოგადებას. როგორც წესი, ეროვნული ცნობიერების თეორიულ-იდეოლოგიური კონსტრუქციის ცენტრში საკუთარი ეროვნულ-ეთნიკური ჯგუფის განსაკუთრებულობა დგას.

ეროვნული ცნობიერების თეორიული დონე ემსახურება ერის გაცნობიერებული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას როგორც საკუთარ, ისე ზოგად ღირებულებებთან; ერის შემოქმედებითი უნარების თავმოყრას ეროვნული ღირებულებების შენარჩუნების, გამრავლებისა და გამრავალფეროვნებისათვის; ერის მიერ ეროვნული ინტერესებისა და სხვა ერებთან წარმატებული ურთიერთობების დასამყარებლად ერის ერთიან ორგანიზმად შეკვრას. „კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკური კულტურის ცალკეული ელემენტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეროვნული, სახელმწიფოებრივი, ისტორიული, რელიგიური და სულიერი კულტურის თავისებურებანი მრავალ სპეციფიკურ პოლიტიკურ და კულტურულ ორიენტაციას წარმოშობს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაში, რომლებიც ზშირად განმსაზღვრელობს ასრულებენ საზოგადოებრივი განვითარებისა და პროგრესის გზაზე“<sup>1</sup>.

სინამდვილის შეფასებითი ელემენტები ეროვნული ცნობიერების ორივე – ყოველდღიურ-პრაქტიკულ და თეორიულ დონეზე, შეიძლება შეგვხვდეს. ეროვნული ცნობიერების პირველ დონეზე შეფასებითი სჭარბობს

<sup>1</sup> ავთანდილ ტუკვაძე, პოლიტიკური კულტურის ეროვნული თავისებურებები // ცხოვრება და კანონი, #3 (23), 2013, გვ. 60.

შემცნებითს, ხოლო მეორე დონეზე შემცნებითია უპირატესად წარმოდგენილი.

ეროვნული ცნობიერების ორივე დონეში შემავალი კომპონენტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. მათში ფიქსირდება საკუთარი „მეს“ ბუნებითი და სულიერი უპირატესობის შეგნებიდან გამომდინარე ეთნოსისა თუ ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, სოციალ-ეთნიკური ერთობის იდეოლოგემა.

## ეროვნული თვითცნობიერების როლბა

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ეროვნული თვითცნობიერება, დავიწყოთ ზოგადად თვითცნობიერებით. თვითცნობიერება ცნობიერების ერთ-ერთი სახეა. ცნობიერება კი საგნობრივი ვითარების ცოდნა და მასზე დაფუძნებული მიზანმიმართული ქცევის წარმართვაა. თანდათანობით გარე სამყაროზე (საგნობრივი ვითარებაზე) ინფორმაციის დაგროვებასთან ერთად ცნობიერება შინაგანი ანალიტიკური ფუნქციის შესრულებაზე გადადის. მრავალფეროვანი ხდება პიროვნების პირადი განცდების სამყარო, იბადება ახალი, მაღალი სულიერი მოთხოვნილებები. თანდათანობით იზრდება ადამიანის შინაგანი ცხოვრების მნიშვნელობა და წილი გარედან მომდინარე ინფორმაციასთან მიმართებაში, შინაგანი სამყარო უფრო ხშირად ახდენს გარედან მიღებული ინფორმაციის კორექტირებას. იმის მიხედვით, თუ რა მართავს ადამიანს, მისი შინაგანი თუ გარეგანი სამყარო, ცნობიერებას ყოფენ ორ სახედ – ჩვეულებრივ ცნობიერებად და თვითცნობიერებად. ჩვეულებრივი



ცნობიერება, უპირველესად, გარეგანის აღქმა, მისი ასახვა და მასზე რეაქციაა შინაგანი შეხედულებებიდან, იდეებიდან, ფსიქიკიდან გამომდინარე. თვითცნობიერება კი ამ გზით მიღებული ინფორმაციის პიროვნული გადააზრება-გადაფასებაა და ამ საფუძველზე საკუთარი დამოკიდებულების, საკუთარი პოზიციის შინაგანი გამომუშავებაა, საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მიღებული საკუთარი ქცევისა და აზროვნების გაცნობიერება და კონტროლია. „მეცნობიერება ცნობიერების, ხოლო მსოფლმხედველობა თვითცნობიერების ფორმაა“<sup>1</sup>. თვითცნობიერების საფუძველს სინდისი წარმოადგენს. თვითცნობიერება აქცევს ადამიანს პიროვნებად. „მე ვიცი“, „მე მინდა“, „მე ვაზროვნებ“ და სხვა – ჩვეულებრივი ცნობიერების დონეა, მაგრამ „მე ვიცი, რომ მე ვიცი“, „მე ვიცი, რომ მე მინდა“, „მე ვიცი, რომ მე ვაზროვნებ“ და სხვა – თვითცნობიერების დონეა<sup>2</sup>.

მაშასადამე, თვითცნობიერება რთული სააზროვნო პროცესი და უნარ-ჩვევაა. იგი „მეს“ მიერ საკუთარი თავისა და საკუთარი ცნობიერების შემეცნებას, საკუ-

---

<sup>1</sup> ვახტანგ ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 2001, გვ. 131.

<sup>2</sup> В.М. Жаринов, Философские науки в таблицах и схемах, М., 2000, стр. 22-23.

თარი ცოდნისა და გამოცდილების შეფასებასა და კრიტიკულ გადამუშავებას გულისხმობს. თვითცნობიერება ცნობიერების რეფლექსიაა საკუთარ თავზე. მის შინაარსში მოიაზრება როგორც საკუთარი ქცევისა და აზროვნების ანალიზი, გაცნობიერება და კონტროლი ასევე მისი შედეგიც.

ეროვნული თვითცნობიერებაც, ისევე, როგორც ზოგადად თვითცნობიერება, არ წარმოადგენს თანდაყოლილ მოცემულობას. ისიც ინდივიდს განვითარების გარკვეულ ეტაპზე უყალიბდება და ისიც რთული ინტელექტუალური პროცესების შედეგია. ერის სასიცოცხლო გარემო და ყოფიერება განსაზღვრავს მის თვითცნობიერებას. ბუნებრივი და სოციალური საზღვრითი სიტუაციების გამო მცირერიცხოვან ერებს, მრავალრიცხოვანთან შედარებით, უფრო ადრე უვითარდებათ თვითცნობიერების უნარი. ადრე მწიფებიან თვითონობისა და საკუთარი მეობისთვის<sup>1</sup>.

ერის, როგორც გარკვეული მოცემულობის, გაცნობიერება არ წარმოადგენს ეროვნულ თვითცნობიერებას. ამ შემთხვევაში ადამიანის ყურადღება მიმართულია ერზე, როგორც ადამიანის ცნობიერებისაგან და-

---

<sup>1</sup> ედუარდ კოდუა, ნაციონალიზმის ადგილი ღირებულებათა იერარქიაში // პოლიტიკა, 1996, #7-8, გვ. 9.

მოუკიდებელ გარე ფაქტორზე. ეროვნული თვითცნობიერება (იდენტობა) ყალიბდება ერთან საკუთარი მსგავსებისა და „მეს“ როგორც მოცემული ერის აქტიური, მოქმედი სუბიექტის გაცნობიერების შედეგად. როცა „მე“ აღმოაჩენს თავის უშუალო მონაწილეობას ერის შესახებ ცოდნაში, როცა „მე“ საკუთარ თავს უსვამს კითხვას „შესაძლებელია თუ არა, ჩემს გამოცდილებაში მოცემული ერი არსებობდეს ჩემ გარეშე და მე მის გარეშე“, მაშინ ჩნდება ეროვნული თვითცნობიერება.

ეროვნული თვითცნობიერება სუბიექტის მიერ საკუთარი სტატუსის, ცხოვრებისეული მოთხოვნილებების, აზრების, გრძნობების, მოტივების, განცდების, მოქმედებების, ერთი სიტყვით, საკუთარი თავის გაცნობიერებაა ერთან, მის თავისებურებებთან და მიზნებთან მიმართებაში. იგი გულისხმობს, რომ ეროვნების იდეა პიროვნების კონსტრუირებაში ღებულობს მონაწილეობას, საკუთარ იდენტიფიცირებას ახდენს ეროვნულ იდეასთან და ისტორიასთან, მათით საზღვრავს საკუთარ თავს და აჩენს ერთი მთლიანობის შეგრძნებას. ეროვნული თვითცნობიერების (იდენტობის) შემოსვლა ცნობიერებაში სოციო-ბიოლოგიური, ოჯახური, ნათესაური და ეთნიკური იდენტობების ფენების შემოსვლის შემდეგ ან პარალელურად ხდება.

ეროვნული თვითცნობიერება მოქმედებაში გულისხმობს ერის, როგორც განსაკუთრებული „მეს“ აღქმას. „მე ქართველი ვარ“ ამ ცოდნის ცოდნა არაა უბრალო ცოდნა, იგი გარკვეული პასუხისმგებლობის მაგულისხმებელი ცოდნაა. „მე ვარ ქართველი“, აქ „ქართველი“ ისეთივე ჩემი ნიშანია, ჩემი თვისებაა, როგორც ჩემი სახელი, ანუ ის მე მეკუთვნის. ანუ, ტერმინი „ქართველი“ ქართველთა ერთობლიობისადმი ჩემს კუთვნილებასა (ჩვენ ვართ ქართველები) და ამ კუთვნილების გაცნობიერებით ამ ერთობლიობის შემადგენლობაში ჩემს ყოფნასაც აღნიშნავს<sup>1</sup>. ეროვნული თვითცნობიერებით ინდივიდი საკუთარ თავს მოიაზრებს როგორც ამა თუ იმ ერის სუბიექტს და ქმნის ერთგვარ აზრობრივ წარმოდგენას „მე-ერის“ და „ერი-მეს“ სახით. როგორც ჩანს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ეროვნული თვითცნობიერების ამ „უხერხულობასთან“ გვაქვს საქმე, როცა თურქეთელი ქართველები საკუთარ თავს „გურჯებს“ ეძახიან და ამით ასხვავებენ საკუთარ თავს თურქებისაგანაც და ქართველებისაგანაც, ანუ ამ ტერმინით ისინი საკუთარ თავს ქართველებს

<sup>1</sup> გურამ ჩაგანავა, ეროვნული იდენტობის ფსიქოლოგიური პრობლემები და მოქალაქეობა // სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, I, თბ., 2009, გვ. 104.

მიაკუთვნებენ, მაგრამ, ამავე დროს, ამავე ტერმინით განასხვავებენ საკუთარ თავს ქრისტიანი ქართველები-საგან, ვინაიდან „გურჯსა“ და „ქართველს“ არა მხოლოდ ტერმინოლოგიურად, აზრობრივადაც სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებენ. შევნიშნავთ, რომ თანამედროვე ეპოქაში ასე ხდება არა ყველას მიერ და არა ყოველთვის, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ტერმინში „გურჯი“ მოიაზრებენ მაჰმადიან ქართველს, ხოლო ტერმინში „ქართველი“ გულისხმობენ ქრისტიან ქართველს. გურჯების გაორებულ ეროვნულ ცნობიერებაზე (თუ თვითცნობიერებაზე) მიუთითებს მკვლევარი, პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე: „მურღულში სიამაყით განაცხადეს გურჯები ვართო. მალე, საუბარს შეყოლილებმა აგვიხსნეს – ბათუმი ჩვენი იყო. ვისი, თქვენი? – გავიოცეთ ჩვენ. თურქეთისო, – გვიპასუხეს. – აბა გურჯები ვართო? – შევანსენეთ და ბათუმის მითვისების მცდელობაც ამით დამთავრდა“<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> მალხაზ ჩოხარაძე, ძველი ბათუმი და ჭოროხის აუზის ქართველთა ისტორიული მეხსიერების საკითხები // გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014, #2.

## ეროვნული ცნობიერება და რელიგია

რელიგია ადამიანის შინაგანი თავისუფლების აქტია. იგი არსებითად განაპირობებს ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მის პიროვნულ თვითგანსაზღვრასა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულებას. შესაბამისად, რელიგიური თვითაქმა, ისევე როგორც რასობრივი კუთვნილება და სქესი, ადამიანის ბუნების ონტოლოგიური ნაწილია<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, რელიგიურობა, როგორც ფენომენი, ერთდროულად გულისხმობს არა მარტო კონკრეტული პიროვნების მრწამსს, არამედ იტვირთება სოციალური, ისტორიული და ეთნიკური იდენტობის კომპონენტებითაც. მორწმუნეებისთვის რელიგია არ წარმოადგენს მხოლოდ მრწამსის გამომხატველ ფენომენს. იგი მიეკუთვნება ღირებულებათა სისტემას და როგორც ყველა ღირებულებას, აქვს თავისი კოგნიტური, ემოციურ-აფექტური და ქცევითი პარამეტრები. მასში, როგორც ღირებუ-

---

<sup>1</sup> არჩილ მეტრეველი, რელიგიის სამართლის საკითხები: მრავალფეროვნება, დისკრიმინაცია, სექტა, თბ., 2015, გვ. 32.

ლებათა კატეგორიაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სოციალური კოგნიციების იმ სისტემას, რომელიც თავად კონკრეტული რელიგიის მსოფლმხედველობიდან თუ დოგმიდან გამომდინარეობს<sup>1</sup>. ეს ყველაფერი რელიგიის უნიკალური თვისებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ რელიგია მნიშვნელოვან როლს ასრულებს პიროვნების მიერ საკუთარი „მთლიანობის“ თვითგააზრებაში, „თვითშემეცნება ადამიანის თვითგააზრებაა საკუთარ მთლიანობაში“<sup>2</sup>. პიროვნების მიერ საკუთარი „მთლიანობის“ გააზრება კი მორწმუნე ადამიანისთვის რელიგიის გარეშე წარმოუდგენელია და, რამდენადაც, პიროვნების მიერ საკუთარი „მთლიანობის“ გააზრება ეროვნული თვითცნობიერებისა და შესაბამისად ეროვნული ცნობიერების ბირთვია, ეთნო-ეროვნული ცნობიერებისა და თვითცნობიერების ფორმირებაში დიდია რელიგიის როლი. არ დაგვავიწყდეს, – „რწმენა კონტექსტია, რომლის საშუალებითაც მორწმუნე კითხუ-

---

<sup>1</sup> მარინე ჩიტიშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები, თბ., 1998, გვ. 264-268.

<sup>2</sup> ვალერიან რამიშვილი, თვითშემეცნების პრობლემის დაყენებისთვის // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987, #2, გვ.18.

ლობს აწმყოს“<sup>1</sup>. ამრიგად, რელიგია მნიშვნელოვანი ელემენტია ეროვნული თვითცნობიერებისათვის აუცილებელ ღირებულებათა სისტემაში, რომელსაც შეუძლია განაპირობოს პიროვნების შინაგანი თანხმობის რღვევა მშობლიურ, მაგრამ განსხვავებული რელიგიის მქონე ერთან და ხელი შეუწყო მასთან მიმართებაში საკუთარი ადგილის სხვაგვარ განსაზღვრას, სხვაგვარ თვითშეფასებასა და თვითშეძენებას.

დადგენილია, რომ რელიგია კულტურული და ჯგუფური იდენტობის იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ მხოლოდ მემკვიდრეობითი ხასიათის გამოც და არა რელიგიური დოგმების ღრმა ცოდნისა და რწმენის გამო, შეუძლია დაჩრდილოს ეთნიკური, ეროვნული თუ კულტურული იდენტობის განცდა, მოახდინოს მისი შესუსტება თუ ანულირება. როგორც ცნობილია, ბისმარკმა 1866 წელს, ავსტრიის დამარცხების შემდეგ, პრუსიაში კათოლიკე გერმანელების დასახლებაზე უარი თქვა იმ მოტივით, რომ მნიშვნელოვანია არა სისხლით ერთობა, არამედ რელიგიური,

---

<sup>1</sup> სერგი რატკანი, რამდენიმე შენიშვნა ქართველების რელიგიურობისა და ტრადიციულობის შესახებ // ქართული საზოგადოების ღირებულებები, თბ., 2006, გვ. 42.



რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ეთნიკური<sup>1</sup>. ყურადსაღებია ისიც, რომ ქართველი კათოლიკები საკუთარ თავს ფრანგებს უწოდებდნენ.

რელიგიურ ნიადაგზე ეროვნული იდენტობის განცდის ნიველირებას ხელს უწყობს ამა თუ იმ კულტურის თუ რელიგიის სხვა კულტურებთან თუ რელიგიებთან მეზობლობა. პერიფერიული მდებარეობა და მეზობლობა, სხვადასხვა კულტურებსა და რელიგიებს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის შესაძლებლობას აძლევს. ამ კავშირის საფუძველზე ყალიბდება საერთო ნიშნები. თუნდაც ყოფა-ცხოვრების დონეზე „ასეთი საერთო ნიშნების არსებობა, ერთსა და იმავე დროს, ილუზორულიცაა და რეალურიც. ილუზორული – იმიტომ, რომ არ წარმოიშობა არავითარი ერთიანი, საერთო კულტურა, როგორც დამოუკიდებელი მრავალფუნქციური სისტემა. რეალობა კი ისაა, რომ ეს საერთო ნიშნები თუ ელემენტები ქმნიან ერთობის გარკვეულ ატმოსფეროს, რომელიც ზემოქმედებს სხვადასხვა კულტურის ადამიანთა კულტურაზე“<sup>2</sup>. სხვანაირად თუ ვიტყვით, გავლენას ახდენს ეროვნულ ცნობიერებაზე.

---

<sup>1</sup> ივერიონი, 15-09-2014 <http://iverioni.com.ge>

<sup>2</sup> ნინო ჩიქოვანი, რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში, თბ., 2006, გვ. 44.

საქართველოში, კერძოდ, ქვემო ქართლში მცხოვრები გამოკითხული აზერბაიჯანელების დიდი ნაწილი დაახლოებით 70% აზერბაიჯანელად თავს მიიჩნევს რელიგიის (ისლამის) გამო. მაშასადამე, ფაქტია რომ, ამ შემთხვევაში, ეთნიკური იდენტობა განსაზღვრულია რელიგიის მიერ<sup>1</sup>.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ტრადიციული შეხედულების (რომელიც თვლის, რომ ეთნიკური კუთვნილება ადამიანს დაბადებიდან ეძლევა და იგი პირველადია პიროვნების თვითცნობიერებასა და მის შემდგომ თვითიდენტიფიკაციასთან მიმართებაში) გვერდით გაჩნდა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ეთნიკური თვითცნობიერება და ეროვნული თვითიდენტიფიკაცია, მიუხედავად იმისა, რომ განისაზღვრება გარკვეული ობიექტური ფაქტორებით და გარემოებებით, არაა ყოველთვის საკუთრივ ეთნიკური ხასიათის და მასში მონაწილეობას ღებულობს ხელოვნურად კონსტრუირებული ეროვნული მოდელები<sup>2</sup>, აქედან გამომდინარე, შე-

<sup>1</sup> სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ., 2009, გვ. 75.

<sup>2</sup> С. А. Янжинов, Основные концептуальные методологические подходы к исследованию феноменов «нация» и «этничность» // Философия права, 2009, №4, стр. 86.

იძლება ითქვას, რომ პიროვნების ეროვნულ-სარწმუნო-  
ებრივი ორიენტაცია დამოკიდებულია როგორც გან-  
სხვავებულ კულტურულ-რელიგიურ სამყაროსთან ბუ-  
ნებრივ მეზობლობაზე, ასევე, ხელოვნურ-პოლიტიკურ  
საფრთხეებზე<sup>1</sup>. მაგალითად, თანამედროვე მსოფლიოში  
მუსლიმური სამყარო (რომელიც მსოფლიო მოსახლე-  
ობის 20% შეადგენს) ცდილობს, რელიგია ეროვნული  
იდენტობის საფუძვლად აქციოს, ამ რელიგიაში ხომ  
რწმენა და ეროვნება ერთმანეთშია გაიგივებული. მუს-  
ლიმთა შორის ეროვნულ განსხვავებულობაზე ლაპარა-  
კი გაუმართლებლადაა მიჩნეული. მუჰამედის სიტყვე-  
ბით, „მუსლიმები ერთი მთლიანი სახლის ქვებივით  
არიან: ერთი ძალასა და სიმყარეს ჰმატებს მეორეს,  
ასე რომ, ისინი ერთმანეთის მფარველები უნდა იყ-  
ვნენ“<sup>2</sup>, „რამეთუ მორწმუნენი ძმები არიან“<sup>3</sup>. პოლიტი-  
კურ-სამართლებრივ დოკუმენტებში გაჩნდა ტერმინი  
„ისლამური ნაცია“. მაგალითად, საუდის არაბეთის სა-  
მეფოს კონსტიტუციის 25-ე მუხლში არსებობს ასეთი

---

<sup>1</sup> ხელოვნურ-პოლიტიკური საფრთხეების შესახებ იხ., აბესალომ  
ასლანიძე, ისლამი და თანამედროვეობა, თბ., 2013, გვ. 125-171.

<sup>2</sup> აბესალომ ასლანიძე, ისლამი და თანამედროვეობა, თბ., 2013, გვ.  
125.

<sup>3</sup> ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და გან-  
მარტებანი დაურთო გიორგი ლოზჟანიძემ, თბ., 2006, (49.10).

ჩანაწერი – „არაბული და ისლამური ნაცია“<sup>1</sup>. სამწუხაროდ, როგორც ქართულ, ისე უცხოურ სამეცნიერო თუ პოპულარულ გამოცემებში, აქა-იქ ვხვდებით აჭარელი მუსლიმისათვის შეურაცხმყოფელ ცრუ „მეცნიერულ შეხედულებებს“ თუ იდეურ „საფუძვლებს“. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ გასული საუკუნის 60-იანი წლებში, რუსული ისტორიოგრაფიიდან გავრცელებულ შემდეგ შეხედულებას: „აჭარლები ცალკე ხალხია, რომელნიც რელიგიის, როგორც ეთნოსის მაკონსოლიდირებელი ფაქტორის შესუსტების პირობებში, „ერწყმიან“ ქართველ ერს“<sup>2</sup>. აქედან კი იმ დასკვნამდე, რომ „რელიგიის მაკონსოლიდირებელი როლის აღდგენის შემთხვევაში აჭარლები ცალკე ხალხად იქცევა“ – ერთი ნაბიჯილაა დარჩენილი. ეს, მეცნიერული თვალსაზრისით უსუსური, „მსჯელობა“, გაფთხილებად, ერთგვარ მინიშნებად უნდა მივიღოთ, მით უფრო, რომ ჩვენთან მეზობლობს კულტურა, რომლისთვისაც

---

<sup>1</sup> შოთა ხინჩაგაშვილი, რელიგიური და კულტურული იდენტობის პრობლემები კავკასიის ხალხებში (პოსტსაბჭოთა პერიოდი), თბ., 2007.

<sup>2</sup> А. Г. Агаев, Нация, ее сущность и самосознание // Вопросы истории, 1967, №7, с.87.

ეროვნული და რელიგიური იდენტობა „ნაციონალურ სიამაყედაა“<sup>1</sup> გამოცხადებული.

ერთი სიტყვით, რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი შეხედულებები ეთნო-ეროვნული ცნობიერების დასახსვრის უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს წარმოადგენენ, ეროვნული ცნობიერება და თვითცნობიერება უპირველესად სოლიდარობის გრძნობით გამსჭვალული ცნობიერებაა და სპეციალისტები, მაგალითად, ენტონ დ. სმიტი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმი ეყრდნობა „კონკრეტული ჯგუფის“ მცდელობას, მიანიჭონ ისტორიას საერთო იდენტობის და საერთო ისტორიის აზრი. ეს არ ნიშნავს, რომ ეს ისტორია აკადემიურად აღეკვატური უნდა იყოს – ბევრი ნაციონალიზმი დამყარებულია ისტორიულად მცდარ ინტერპრეტაციებზე და მიისწრაფის საკუთარი ისტორიის გარკვეული ნაწილების მთლიანი მითოლოგიზაციისაკენ. ნაციონალიზმი, სმიტის მიხედვით, არ მოითხოვს, რომ „ერის“ წევრები მსგავსნი იყვნენ, არამედ, მხოლოდ იმას, რომ ისინი უნდა გრძნობდნენ სოლიდარობას ერთან და ერის სხვა წევრებთან. ნაციონალიზმის გრძნობა შეიძ-

---

<sup>1</sup> გიორგი ანთელავა, ისლამი და საფრანგეთში ემიგრირებული თურქების ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხი // „პოლიტიკა“, 5, თბ., 2002, გვ. 42.

ლება წარმოიშვას ნებისმიერი იდეოლოგიიდან, რომელიც დომინანტურია მოცემულ ადგილას. ნაციონალიზმი ამოიზრდება მანამდე არსებული ნათესაობიდან, რელიგიური და რწმენის სისტემებიდან<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, როგორც ვხედავთ, „პიროვნების მიერ საკუთარი ეროვნული კუთვნილების დადგენისას კულტურული ტრადიცია მნიშვნელოვანი, მაგრამ უპირობოდ გადამწყვეტი ფაქტორი არ არის“<sup>2</sup>. თანამედროვე მსოფლიოში, ჩვენ გვერდით, მიმდინარეობს ეროვნულ და რელიგიურ იდენტობათა ურთიერთჩანაცვლება თუ არა, ურთიერთკვეთა და ურთიერთმელწევალობა მაინც, რაც ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს, როგორც რელიგიათა მესვეურთ, ასევე პოლიტიკოსებსა და მეცნიერებს<sup>3</sup>, მით უფრო ჩვენისთანა მცირე ერებში.

<sup>1</sup> სმიტის აზრი მოყვანილია ნაშრომიდან: გიგი თევზაძე, ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციოეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა // ქართველი ერის დაბადება : ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), თბ., 2009, გვ. 7-8.

<sup>2</sup> გურამ თევზაძე, ეროვნული იდენტობა, როგორც არჩევანის შედეგი // შემეცნება და ზნეობა. ფილოსოფიური წერილები (ეძღვება ლერი მჭედლიშვილის 75 წლის იუბილეს), თბ., 2012, 150.

<sup>3</sup> რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში რუსეთში შექმნილი საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მრავალკონფესიური იდეო-

საქართველოში ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა ეროვნული შეკავშირების გზაზე რელიგიურ აღმსარებლობათა განსხვავებულობის შედეგად წარმოქმნილ მნიშვნელოვან წინააღმდეგობებს არასოდეს უჩენია თავი<sup>1</sup>, ისინი პატივს სცემენ და ინარჩუნებენ იმ ურთიერთობებს, რაც საქართველოში მართლმადიდებლებსა და მუსლიმებს შორის არსებობს<sup>2</sup>. უფრო მეტიც, ზოგადად ზომიერი მუსლიმური აღმსარებლობა ქართველი კაცის ეროვნულ ცნობიერებას არ ხდის საეჭვოს, ქართველობა ქართველ მუსლიმთა აბსოლუტური უმრავლესობისთვის უმაღლეს ღირებულებას წარმოადგენს – „მე მუსლიმი ვარ, მაგრამ ქართველი, ალაჰის მწამს, მაგრამ საქართველოს მიწა შეუფასებელია ჩემთვის. არავის ჰქონდეს იმის იმედი ან შიში, რომ დღეს ვინმემ საქართველოს დასაპყრობად გადმოდგას ერთი ნაბიჯი და ჩვენ, მუსლიმმა ქართველებ-

---

ლოგიური კავშირი ამის ნათელი მაგალითია, იხ., მერი გაბედავა, კონფესიები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში // ომი, სახელმწიფო და იდენტობა, თბ., 2010, გვ. 17-18.

<sup>1</sup> ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ფრიდონ ხალვაშის ეროვნულ-რელიგიური თვალთახედვის ზოგიერთი საკითხი // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი, თბ., 2012. ტ. IV, გვ. 99.

<sup>2</sup> „ტერორისტებს სამუდამო ჯოჯოხეთი ელით“, კვირის პალიტრა, 2015, # 47. 23-29.11.

მა, უკან დავიხიოთ. საქართველოსთვის შევაკვდებით ყველას, ვინც უნდა იყოს, მაგრამ საქართველოსაც უნდა ახსოვდეს, რომ აჭარელს მხოლოდ ქართველის ნათქვამი - თათარო - კლავს და არა თათრის ნასროლი ტყვია“<sup>1</sup>. მიუხედავად ყოველივე ამისა, ნუ დაგვაკიწყდება, რომ დღეს, ისე როგორც არასდროს, ხელი-სუფლების ლეგიტიმურობა უფრო მეტად გახდა დამოკიდებული შემართული და დამუხტული რელიგიური ჯგუფების აქტივობაზე<sup>2</sup> და რომ ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის იდეა – რელიგიის პირად განზომილებაში გადატანის შესახებ, ბევრგან არ იქნა გაზიარებული და რელიგია და პოლიტიკა კვლავ მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, რაც, ხშირად, ერთი ერის, ერთი და იმავე ეთნიკური ჯგუფის, ერთ ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხის მიერ ერთმანეთის უმოწყალოდ ხოცვის (მაგ., ლიბანი, იუგოსლავია, ინდოეთი) <sup>3</sup> მიზეზი გამხდარა. ღმერთმა დაგვიფაროს!

<sup>1</sup> „საქართველოსთვის შევაკვდებით ყველას“, კვირის პალიტრა, 2015, # 48. 30.11-06.12.

<sup>2</sup> გიორგი ცხადაია, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობის ახალი ფორმები // სოლიდარობა, 2010, #1(34).

<sup>3</sup> ირმა გოგოლიძე, რელიგიათა როლი საერთაშორისო ურთიერთობებში // ენა და კულტურა, #11, 2014, გვ. 197.



## ეროვნული ცნობიერების სიმყარის ფაქტორები და საფრთხეები

ეროვნული ცნობიერების სიმყარის მნიშვნელოვან ფაქტორს საერთო კულტურის გაცნობიერება წარმოადგენს. კულტურა იმდენად ზოგადი ცნებაა, რომ შესაძლებელია, საერთო კულტურის ცნობიერებამ ყველა ცალკეული ერის შემთხვევაში კონკრეტული გამოხატულება მიიღოს და გამოვლინდეს მხოლოდ მის ერთ-ერთ კომპონენტში. თუ, მაგალითად, ერთი ერისთვის ის გამოიხატება საერთო ენის ცნობიერებით, მეორისთვის შეიძლება გამოვლინდეს საერთო რელიგიური ცნობიერებით და სხვა. ქართველი ერისთვის ეროვნული ცნობიერების სიმყარის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ქრისტიანული მართლმადიდებლური რელიგიური ცნობიერება წარმოადგენს. ქართველმა ხალხმა, ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების ქრისტიანობასთან დაკავშირებისა და გაღრმავების მიზნით ისტორიულად სხვადასხვა ღონისძიებას მიმართა. ქართული ეკლესია ჯერ კიდევ V-VI საუკუნეებში დაად-

გა ნაციონალიზაციის გზას და კოსმოპოლიტურ ფუძეზე აღმოცენებული ანტინაციონალური მოვლენა – ქრისტიანობა – სახელმწიფო რელიგიად<sup>1</sup> და ქართველი ხალხისთვის ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცების უმთავრეს ძალად აქცია<sup>2</sup>: შექმნა წმინდანინოს კულტი; გააცოცხლა გადმოცემა ქრისტეს კვართისა და სამჭუალის შესახებ; საქართველო გამოაცხადა მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანად. სხვათა შორის, ეს შეხედულება „საყოველთაოდაა მიღებული მართლმადიდებლურ, კერძოდ, სლავურ, რუსულ სამყაროში“<sup>3</sup>; ფართოდ გაავრცელა წმინდა გიორგის კულტი, რომელშიც, შეიძლება ითქვას, ეროვნულობის ნიშანმა გადაწონა ალბათ ქართველი კაცის შეგნებაში: იგი ვერ შეელია თავის საკუთარს, თეთრი გიორგის კულტს და იგი წმინდა გიორგის კულტთან შერწყმუ-

---

<sup>1</sup> კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, თბ., 2002.

<sup>2</sup> ავთანდილ ნიკოლეიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს ისტორიაში ქრისტიანული რელიგიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის შესახებ // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2010. ტ. II, გვ. 67-68.

<sup>3</sup> აპოლონ სილაგაძე, ქართული იდეა, თბ., 2010, გვ. 95.

ლად და მასში განავითარა<sup>1</sup>. ყოველივე ამით მოხერხდა „ქრისტიანული რელიგიის ნაციონალიზაცია“ (კორნელი კეკელიძე), რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ქართველი ხალხის ცხოვრება, აზროვნება და შესაბამისად – ეროვნული ცნობიერებაც და თვითცნობიერებაც. „17 საუკუნის წინ დაწყებულმა საქართველოს ოფიციალურმა ქრისტიანიზაციამ ქვეყნის კულტურული სახე ფუნდამენტურად გარდაქმნა“<sup>2</sup>. „ქართლის ცხოვრებაში“ ხშირადაა ნახსენები ტერმინი „სარწმუნოებით ქართველი“<sup>3</sup>. გიორგი მერჩულეს აზრით, „ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“<sup>4</sup>. შუა საუკუნეებში, შესაბამისად ახალ დრომდე, ქართველი წარმოადგენს არა ეროვნულ, არამედ სარწმუნოებრივ იდენტობას<sup>5</sup>. ჯერ-

---

<sup>1</sup> ირმა ბაგრატიონი, „ქართული ქრისტიანობის“ ეროვნული ნიშნების საკითხისათვის//შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალანსი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012. ტ. IV, გვ. 35.

<sup>2</sup> აპოლონ სილაგაძე, ქართული იდეა, თბ., 2010, გვ. 23.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება IV, გვ. 291.

<sup>4</sup> გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძემელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1982, გვ. 279-280.

<sup>5</sup> სერგო რატიანი, „სარწმუნოებით ქართველი“: სექულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება // ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავ-

ჯერობით რელიგიურობა იმარჯვებს და იქვემდებარებს ეროვნულს<sup>1</sup>. ეკლესია გვთავაზობს ფორმულას, რომლის მიხედვითაც ქართველობა ნიშნავს მართლმადიდებლობას<sup>2</sup>.... და ეს ყველაფერი მაშინ, როცა საქართველოში ცხოვრობენ მაღალი სახელმწიფოებრივი და ეროვნული შეგნების მატარებელი ქართული საზოგადოების ღირსეული ნაწილი – მუსლიმი ქართველები, რომელთა წინაპრებმა იძულებითი გამუსლიმანების შემდეგ, მშობლიური ენა არ დაკარგეს და ეროვნული იდენტურობა საერთო ენაზე დააფუძნეს და არა საერთო რელიგიაზე, მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური სოლიდარობის გრძნობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ისლამში და მისი ერთ-ერთი სპეციფიური მხარეცაა. ენისა და ერის ეს მიმართება დღესაცაა შენარჩუნებული თურქეთელ ქართველებში. შავშელთა

---

ქავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), თბ., 2009, გვ. 34.

<sup>1</sup> გიგი თევზაძე, ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციოეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა // ქართველი ერის დაბადება: ილია ქავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), თბ., 2009, გვ. 22-23.

<sup>2</sup> მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), თბ., 2013, გვ.164.

ცნობიერებაში ხელშესახებია დებულება: „იცი ქართული, ქართველი ხარ, არ იცი ქართული – ხარ თურქი“<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, დღესაც ჩვენებურების ცნობიერებაში ეროვნული კუთვნილების უპირველესი ნიშანი ენის ცოდნაა. ადგილობრივთათვის გურჯი ის არის, ვინც ქართული ენა იცის. „ესკი (ძველად, წინათ) გურჯები ვიყავით“ თუ გეტყვის ჩვენებური, ცხადია, იმას გულისხმობს, წინაპრები ქართველები იყვნენ, ჩვენ კი აღარ ვართ ქართველებიო. ქართული ენის დავიწყება ხშირად გურჯობაზე უარის თქმის ტოლფასია. შეიძლება ასეთი ფორმულირებაც გაიგონო: „მე გურჯი ვარ, ჩემი შვილი არ არის გურჯი“. იგულისხმება, რომ შვილმა ქართული ენა არ იცის. ასეთსაც გაიგონებ: „ჩვენი ღარჭები (ბავშვები) რომ გეიზრდებიან, გურჯები იქნებიან... სისხლი ექნებათ, ენა – არა“<sup>2</sup>.

ქართულ ფილოსოფიაში გამოთქმულია აზრი, რომ ცნებები „ეროვნული“ და „ქართული“ კვეთენ, მაგრამ არ ემთხვევიან ერთმანეთს. ამ შეხედულების მიხედვით, არსებობს კონტექსტები, სადაც ეროვნული და ქართული ერთი და იმავე მნიშვნელობით იხმარება,

---

<sup>1</sup> მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ., 2011, გვ. 344.

<sup>2</sup> მალხაზ ჩოხარაძე, ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი 2015, გვ. 151.

მაგრამ არსებობს მათი განსხვავებული აზრით გამოყენების შემთხვევები, რადგან ეროვნულია ისეთი ქართული, რომელიც, გარდა იმისა, რომ ქართულია, ამავე დროს, ტიპურიცაა, ქართველთა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი<sup>1</sup>. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, თუ შევადარებთ ერთმანეთს მართლმადიდებლობასა და მუსლიმანობას, მართლმადიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ წარმომავლობით ბერძნულია, თავისი არსით ეროვნულია, რადგან როგორც ისტორიულად (მაგალითისათვის, – მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, ლაზეთში 1486 წელს 5378 ქრისტიანული ოჯახია და მათი რიცხვი 1520 წლისთვის 6706-მდე იზრდება<sup>2</sup>. საყურადღებოა ისიც, რომ ამავე პერიოდში ოსმალეთის სახელმწიფოში მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობა აღემატებოდა მუსლიმურს<sup>3</sup>), ასევე დღეს, ქართველთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. რაც შეეხება მუსლიმანობას, არსებობენ მუსლიმი ქართველები, „მათ რწმენა აქეთ სხვა, მაგრამ

<sup>1</sup> ვახტანგ ერქომაიშვილი, ერი და იდეოლოგია // ვახტანგ ერქომაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002, გვ. 398; 396.

<sup>2</sup> გიორგი ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი), თბ., 2012, გვ. 9.

<sup>3</sup> მიხეილ სვანიძე, თურქეთის ისტორია, თბ., 2007, გვ. 138.

მაინც ქართველები არიან. ამიტომ ეს ქართული მოვლენაა. მაგრამ არის კი ეროვნული? ალბათ, არა, რადგან მაჰმადიანობა ან კათოლიკობა არ არის ტიპური ქართული, ამდენად – ეროვნული,<sup>1</sup> – ასევენიან ამ თვალსაზრისის მიმდევარნი.

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, უთუოდ სწორი უნდა იყოს ფრენსის ფუკუიამა, რომელიც ამბობდა: „სარწმუნოებას ახასიათებს ტენდენცია უფრო გათიშოს, ვიდრე შეაკავშიროს ადამიანები, რადგან ამდენი ალტერნატივა არსებობს“<sup>2</sup>. ესეც, ასე ვთქვათ, შიგა საფრთხე ქართული ეროვნული ცნობიერებისათვის, უფრო სწორად, ქართული ეროვნული ცნობიერების ინტეგრაციისთვის. ამის პირველი ნიშნები სახეზეა, კერძოდ, მცხეთის რაიონში მცხოვრებ გამოკითხულ მართლმადიდებელთა 71% პასუხობს, რომ არჩევნების დროს მხარს დაუჭერს მხოლოდ მისი რელიგიური მრწამსის კანდიდატს. ხოლო აჭარაში მცხოვრები გამოკითხული მუსლიმი ქართველის 99% ამბობს, რომ არჩევნების დროს მნიშვნელობა არ აქვს კანდიდატის

---

<sup>1</sup> ვახტანგ ერქომაიშვილი, ერი და იდეოლოგია // ვახტანგ ერქომაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002, გვ. 397.

<sup>2</sup> ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999, გვ. 316.

რელიგიურ მრწამსს<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, საჯარო სფეროში ქართველ მართლმადიდებელთა მიერ გამოვლენილი ეს პოზიცია ეროვნულ ინტეგრაციას ნამდვილად არ უწყობს ხელს და არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ იგი მომდინარეობს „სარწმუნოებით ქართველის“ ცნობიერებიდან.

ზოგი მკვლევარი თვლის, რომ თურქეთელი ქართველების ასაკოვან მოსახლეობაში ტერმინების „გურჯისა“ და „ქართველის“ აღრევა იწვევს საკმაოდ ძლიერ გაღიზიანებას. „ქართველის“ წოდებაზე მათში უარყოფითი განწყობა შეიმჩნევა. არის მთელი რიგი სოფლები, სადაც „ქართველის“ წოდება შეიძლება ითქვას შეურაცხყოფის ტოლფასია,<sup>2</sup> – აღნიშნავს მკვლევარი ნინო ოქროსცვარიძე. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამგვარი დამოკიდებულება ტერმინ „ქართველის“ მიმართ ყველგან და ყოველთვის არ გვხვდება. მართალია, თურქეთელი ქართველები საკუთარ თავს „გურჯებს“ ეძახიან და ამით ასხვავებენ

<sup>1</sup> სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ., 2009, გვ. 120.

<sup>2</sup> ნინო ოქროსცვარიძე, ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე), თბ., 2012, გვ. 203.



ისინი საკუთარ თავს თურქებისაგანაც და ქრისტიანი ქართველებისაგანაც, მაგრამ ამავე ტერმინით ისინი საკუთარ თავს ქართველებს მიაკუთვნებენ. ტერმინში „გურჯი“ მოიაზრებენ მაჰმადიან ქართველს, ხოლო ტერმინში „ქართველი“ გულისხმობენ ქრისტიან ქართველს. როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში, ტერმინით „გურჯი“, ქართველობა, ასე ვთქვათ, ეროვნება დაიტოვა თურქეთელმა ქართველმა, საკუთარი გენეტიკურ-ენიკური კუთვნილება გამოხატა. თუმცა, ზოგადი ქართული ეროვნული ცნობიერებისთვის დამახასიათებელი თვითშემეცნება, თვითიდენტიფიკაცია და თვითგამორკვევა დარღვეულია რელიგიის ზეგავლენით.

„ნათესავით ქართველობაში“ ინეგოლის თურქეთელი ქართველები გულისხმობენ მათთვის დამახასიათებელ შემდეგ ნიშან-თვისებებს: 1. „დამკავებლობა“ – ერთად ყოფნა ჭირსა და ლხინში; 2. ურთიერთდახმარება; 3. სიმაღლე, სიჯანსაღე, გარეგნული სილამაზე; 4. სიცოცხლის ხანგრძლივობა; 5. სამზარეულო; 6. სისუფთავე<sup>1</sup>. როგორც ვხედავთ, ამ ჩამონათვალში არც ეთნოსი, არც სისხლი, არც მიწა, არც ენა არაა ნახ-

---

<sup>1</sup> ნინო ოქროსცვარიძე, ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე), თბ., 2012, გვ. 205.

სენები, თუმცა მათ მიერ წარმოთქმული „ჩვენებური“, მკრთალად, მაგრამ მაინც, გულისხმობს ეთნოსსაც, მიწასაც, სისხლსაც. რასაკვირველია, სამწუხარო რეალობაა, რომ იქ, სადაც იციან ქართული, ქართულად მხოლოდ საოჯახო და სანათესაო სივრცეში მეტყველებენ, სოფლის გარეთ კი უპირატესობას თურქულს ანიჭებენ. ფაქტობრივად, აქ, მშობლიურმა ენამ აშკარად დათმო პოზიციები. იმერხევსა და ლივანში, ასევე, ტაოს ორიოდ სოფელში ქართულად მეტყველებენ მხოლოდ საშუალო ასაკს გადაცილებულნი, იშვიათად – ახალგაზრდებიც. პრაქტიკულად, ენის მცოდნე ბოლო თაობა ცხოვრობს იქ<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, თურქეთელი, ყოველ შემთხვევაში, ინგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის ეთნიკური ქართველების ეროვნულ ცნობიერებასა და თვითცნობიერებაში საერთო „ნათესავით ქართველიდან“ და ზოგადი ქართული სივრციდან მოწყვეტის დიდი საფრთხე არსებობს. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს: ა) მათ ტერმინის – „გურჯი“ – შემოტა-

<sup>1</sup> მალხაზ ჩოხარაძე, ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი, ბათუმი, 2009, გვ. 91.

ნით ტერმინოლოგიურად თავიანთი თავი განასხვავეს არა მხოლოდ თურქებისაგან, არამედ ქართველებისგანაც, მაგრამ ქართველობა მთლად არ ეთმობათ და ცდილობენ რაღაც ახალი, სხვაგვარი, მათთვის ახლობელი, ასე ვთქვათ, მისაღები ქართველის ცნების დამკვიდრებას; ბ) შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკურ ქართველებში ქართულ ენას მხოლოდ ეთნიკურობის სიმბოლო აქვს და მხოლოდ საშინაო მოხმარებით შემოფარგლება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ფირნიში ქართულია; გ) „ნათესავით ქართველით“ გამოხატული ეთნიკური თვითაღქმა მხოლოდ ყოფითი დონით განისაზღვრება.

სამწუხაროდ, ეროვნულ ცნობიერებაში „ვინაობის შეგრძნების“ (ზაქარია ჭიჭინაძე) მუხტის დაკარგვა ეროვნული ცნობიერებისა და თვითცნობიერების ნიველირებას თუ არა კრიზისზე მაინც მიუთითებს. ესაა პირველი ნიშანი იმისა, რომ როგორც ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწემ, ქართველმა მაჰმადიანმა, ჰასან ფაშამ, აღნიშნა – „ქართველები ყველგან ვართ, მაგრამ არსად არ ვჩანვართო“<sup>1</sup>. ისინი საგარეო (სახლ-კარის გარეთ) ურთიერთობებში, ანუ იქ, სადაც უნდა

---

<sup>1</sup> ნ. ბოსტაშვილი, იასე რაჭველიშვილი-მუხუზელა, თბ., 1991, გვ. 105.

გამოჩნდეს მათი ქართველობა და სხვისგან განსხვავება, ფაქტობრივად, არ ქართველობენ, ამიტომ არიან ყველგან, მაგრამ არსად არ ჩანან.

საბედნიეროდ, ამა თუ იმ ერის წარმომადგენელთა თაობების ცხოვრება სხვა სახელმწიფოში, თუ, სხვა ერის წარმომადგენლების გარემოცვაში, ვერ იწვევს ეროვნული იდენტობის ცნობიერების სრულ გაქრობას. „ცნობილია, რომ ახალ სამოსახლოში ჩასახლებული ინდივიდები ან ინდივიდთა სოციალური ჯგუფები სათუთად ინახავენ კულტურის თავისებურებებსა და ფსიქიკის საერთო დამახასიათებელ თვისებებს“<sup>1</sup>. ეროვნულ იდენტობაში ის კი არ არის მთავარი, პიროვნება რეალურად, ობიექტურად რომელ ერს მიეკუთვნება, არამედ ის, თუ რომელ ერთან აიგივებს იგი საკუთარ თავს, ხოლო ეროვნული იდენტობის ხანგრძლივობისა და გამძლეობისთვის კი მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად პოზიტიურად აფასებს იგი იმ ერს, რომელსაც საკუთარ თავს აკუთვნებს და არა ის, თუ რომელ ერს აკუთვნებს იგი საკუთარ თავს. ეროვნული იდენტობის კრიზისის პირველ ნიშნებს იმ ერზე პოზი-

<sup>1</sup> Ю. Бромлей, Этнос и этнография, М., 1973, стр. 37.

ტიური წარმოდგენების დაკარგვა წარმოადგენს, რომელსაც აკუთვნებდა პიროვნება საკუთარ თავს<sup>1</sup>.

საინტერესოა, რომ ეროვნული იდენტობის მატარებელი პიროვნების ეროვნული ცნობიერება, ხშირად, სხვა სახელმწიფოში თუ სხვა ერის წარმომადგენლების გარემოცვაში ხანგრძლივი ცხოვრებისას, იმ ერზე პოზიტიური შეხედულებებით საზრდოობს, რომელსაც თავს აკუთვნებს იგი. ასეთ შემთხვევაში (თუნდაც კომპაქტური მოსახლობისას) ეროვნული იდენტიფიკაციის საფუძველს მხოლოდ გენეტიკური მექანიზმები წარმოადგენენ და არა მისი ეროვნული იდენტობის ყოველდღიურად მაცოცხლებელი სოციალური მექანიზმები. ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ადათ-წესები, ყოველდღიური გარეგანი რესურსების არასაკმარისობის პირობებში, დამატებითი, შინაგანი ფსიქოლოგიური რესურსებით ამუშავებული, ეროვნულობის შემანარჩუნებელი ფენომენებია.

ზოგადად ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული იდენტობის ყოველდღიურ მაცოცხლებელ ელემენტებს მიეკუთვნება:

---

<sup>1</sup> Г.М. Андреева, Психология социального познания, М., 2000, стр. 267.

**მშობლიური ენა**, იგი „ისეთი სოციალური მოვლენაა, რომელსაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები გენეტიკაშიც. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მშობლიური ენა ნაციონალური გენის რეალიზაციაა. იგი არ არის უბრალო საკომუნიკაციო სისტემა, მშობლიური ენით ნაციონალური გენის ლინგვისტური გამოვლენა ხდება. ... ქართული ქართველი კაცისთვის (მით უფრო თურქეთელი ქართველისთვის - მ.გ.) გენეტიკურად განპირობებული ლინგვისტური სისტემა და ამიტომ ქართველი, რომ ქართულად ლაპარაკობს, ეს ფაქტი არ არის მხოლოდ სოციალური მოვლენა, მას (ქართულ ენას) მჭიდრო კავშირი აქვს ქართველი კაცის გენეტიკურ ტიპთან“<sup>1</sup>. ალბათ, ამიტომაც თურქეთელი ქართველების პირველი თაობის შვილებს სკოლაში საათობით ცალ ფეხზე აყენებდნენ იმის გამო, რომ მათ არ იცოდნენ თურქული და იცოდნენ ქართული<sup>2</sup>.

ეროვნული ცნობიერება განუხრელადაა დაკავშირებული მშობლიურ ენასთან და მშობლიურ ენაზე

<sup>1</sup> გ. ნეზირიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991, გვ. 60-61.

<sup>2</sup> ალექსანდრე ჩხაიძე, ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე, ბათუმი, 1991, გვ.15.

მეტყველებასთან, ადამიანის ტვინის მშობლიური სიტყვები უყალიბებს ხატებს, უქმნის შინაგან სუბიექტურ სამყაროს და აძლევს ადამიანს სმენის, ხედვის, განცდის, მსჯელობის, აზროვნების, ლაპარაკის, ოცნებისა და სიყვარულის საშუალებას<sup>1</sup>, აქედან გამომდინარე, სანამ ეს სიტყვა ქართულია, მანამ ცნობიერებაც ქართული და ეროვნულია. მშობლიური ენა ეროვნული ცნობიერების თანამდევია სულია<sup>2</sup>. ფსიქოლოგების დასკვნით, დედაენა არის აზროვნებასთან ორგანულად შეზრდილი პროცესი, აზროვნების დროს კი ადამიანი ცდილობს აზრთა მიმდინარეობა იმ კალაპოტში ჩააყენოს, რომელიც მიზანთან ყველაზე ადრე მიიყვანს. შემთხვევითი არაა, რომ ენა აკავშირებს ერთმანეთთან წარსულსა და აწმყოს და განაპირობებს სულიერ ნათესაობას მომავალთან<sup>3</sup>.

სამწუხაროდ, თურქეთელი ქართველების პოლიტიკური და რელიგიური აკულტურაცია უკვე მოხდა, ისინი ისტორიულად საკმაოდ ძლიერ უცხო კულტურ-

---

<sup>1</sup> სულხან ცაგარელი, ცნობიერება, თბ., 2008, გვ. 9.

<sup>2</sup> ერმილე მესხია, ენა ეროვნულ ცნობიერებასა და კულტურაში („ცხოვრება ფარნავაზისის“ მიხედვით) // რსუ ქრისტიანული კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის („ჩვენი სულიერების ბალავარი“) მასალები, ბათუმი, 2009, გვ. 107.

<sup>3</sup> ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997, გვ. 195.

რასთან აღმოჩნდნენ პირისპირ, იმ შეგნებით, რომ ამ უკანასკნელს სჯობიან. ახლა ისინი ლინგვისტური აკულტურაციის პროცესს განიცდიან და თუ ამ აკულტურაციამ ინდივიდის თვალში არ შეარყია თავისი მშობლიური ენისა და ერის რწმენა, მაშინ ადვილი შესაძლებელია, რომ ეროვნულმა ცნობიერებამ თავისი ქნას და ინდივიდი თავის ეროვნულ ღირებულებებს დაუბრუნდეს, ენა ხომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მექანიზმია ეროვნული იდენტობის შესანარჩუნებლად. ქართული ცნობიერების შენარჩუნებაში ქართული ენის როლზე ის ფაქტიც მიუთითებს, რომ სწორედ ენობრივმა ერთობამ განაპირობა ქართული ცნობიერების გადარჩენა იმ ქართველებში, რომლებიც კულტურულად, ეკლესიურად, ტერიტორიულად განსხვავდებოდნენ საკუთრივ ქართულისაგან<sup>1</sup>, მაგრამ ქართულად მეტყველებდნენ.

**საკუთარი მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის ცოდნით** გამოხატული ეროვნული თვითცნობიერება ასევე მნიშვნელოვანი მაცოცხლებელი ფაქტორია ეროვნული ცნობიერებისთვის. ის, რომ ინდივიდს ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი თავისი წარსულ-

<sup>1</sup> ვახტანგ გურული, ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია, თბ., 2008, გვ. 34.



ლის სიდიადე, აწმყოთი ამაყობს და მომავალს თამამად უდიმის, ლიტერატურისა და ისტორიის დამსახურებაა. ლიტერატურა და ისტორია ადამიანის მსოფლმხედველობას აფართოებს, საჭირო სიღრმესა და სიმტკიცეს ანიჭებს მას;

ეროვნული ლიტერატურისა და ისტორიის გარდა, მშობელი ერის თანამედროვე მიღწევების შესაბამისად შეფუთვა და მიტანა ხალხთან ეროვნული ცნობიერებისა და ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნების მნიშვნელოვან მკვებავ წყაროს წარმოადგენს;

ეროვნული გრძნობებისა და თვითშეგნების განვითარება-გაღრმავებაში დიდ როლს თამაშობს მშობლიური ერის სპორტული მიღწევებიც საერთაშორისო ასპარეზზე.

უცხო კულტურა, როგორც გარემო, ვერ ახდენს პიროვნების, როგორც ინდივიდუალობის, მოსპობას. რამდენად ძლიერიც არ უნდა იყოს სიტუაციის, კერძოდ, კულტურის გავლენა პიროვნებაზე, ეს უკანასკნელი ძირითადად ინარჩუნებს თავის უნიკალურ „მეს“. პიროვნება არაა მხოლოდ კულტურის პროდუქტი. იგი კულტურისა და პიროვნების შინაგანი ტენდენციების

კომპლექსური სისტემა<sup>1</sup>. მხოლოდ ამ ინდივიდუალობის წყალობით, ყოველგვარი სხვა წყაროს გარეშე, უხდებოდა თურქეთელ ქართველთა თაობებს ეროვნული ცნობიერების მოვლა. საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნების ძალა სანამ ეყო, მანამ შეინარჩუნა და ინარჩუნებს ეროვნულ ცნობიერებასა და იდენტობას, რაც მოახერხა, ალბათ, მაქსიმუმი იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი შემთხვევა: 1879 წლის ნათლისღება დღეს, ქობულეთის საზოგადოებას (ბატალიონის მეთაური და უფროსი, ჩინოვნიკები, ქართველი და ბერძენი ვაჭრები) ოზურგეთიდან მღვდელი მოუწვევია. მდინარე აჭყვისთავთან ადგილობრივი მცხოვრებლებიც მისულან წყლის კურთხევის საყურებლად. წყლის კურთხევამ თურმე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა აქაურებზე. როცა მღვდელმა ქრისტიანებს წყალი აპკურა, განგებისად ქობულეთლებსაც გადაასხა, იმათ პირმა გაუღიმათ, თითქოს უნდოდათ და არც უნდოდათ, ასეთი რეაქცია კი, მუსლიმანთაგან, მხოლოდ ქართველ მუსლიმანებს შეიძლება ჰქონო-

---

<sup>1</sup> ვლ. ნორაკიძე, ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში // მნათობი, 1988, #7, გვ. 145.

ღათ<sup>1</sup>. ამგვარი რეაქცია იმ უნიკალურმა „მემ“ განაპირობა, რასაც ჯიშით ქართველობა ქვია და არ ისპობა სიტუაციათა და გარემოებათა გამო.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე თურქეთელ ქართველებში მეთურქულე შავშელთა ასიმილაციის პროცესი შორსაა წასული (ცოტა უფრო უკეთესი მდგომარეობაა მექართულე შავშელეებში - მ.გ.) მათი სრული ასიმილაცია, როგორც აღვნიშნეთ, არ მომხდარა, ისინი ჯერ კიდევ არ არიან თურქული ეთნოსის სრული წარმომადგენლები<sup>2</sup>. ისინი აცნობიერებენ, რომ არ ეკუთვნიან არცერთ სხვა ერს. ეს ნიშნავს, რომ ისინი პოტენციურად მზად არიან ცნობიერებაშიც დააფიქსირონ თავიანთი ქართველობა და მოახდინონ ეროვნული თვითიდენტიფიკაცია, თუ ამის შესაფერისი პირობები შეიქმნება. ეს იმიტომ, რომ ინდივიდის კავშირი მშობლიურ ერთან თუ ეთნოსთან არასოდეს წყდება – არც მისგან მოწყვეტის შემთხვევაში, რადგან ინდივიდს გააჩნია ისეთი სულიერი და გონითი მოთხოვნილებები, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ

---

<sup>1</sup> მაღხაზი ჩოხარაძე, სამუსლიმანო საქართველო ქართველთა ცნობიერებაში, ბსუ-ს მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, III. ბათუმი, 2002, გვ. 101.

<sup>2</sup> მამია ფაღავა, შავშური ჩანაწერები, თბ., 2011, გვ. 340.

მშობლიურ ერთან თუ ეთნოსთან ერთადაა შესაძლებელი. ამის გამოა, რომ ეროვნული ცნობიერების მკვებავი პირობების შექმნაზეც თვითონ ზრუნავენ სამშობლოს მოწყვეტილი თანამედროვე ქართველები, სამაგალითოდ საქვეყნოდ ცნობილი ახმედ მელაშვილის ღვაწლი გამოდგება, ანაც ფაჰრეთინ ჩილაშვილი, რომელიც ხელმძღვანელობდა ჟურნალ „ჩვენებურს“, გამოსცა ჟურნალი „მაშული“, რომლის მხლოდ ხუთი ნომერი გამოვიდა და დაიხურა უსახსრობის გამო<sup>1</sup>, ანუ დააკლდა ჩვენი ძალისხმევა. სულ ახლახანს, საიდ მულიანის მცდელობით შაკ-აბასის დედაქალაქში გაიხსნა ქართული სკოლა<sup>2</sup>, რომლის განვითარებისთვის ხელშეწყობასა და მხარდაჭერას ითხოვს იქაური ქართველობა. ჯერი ჩვენზეა, საზღვარგარეთელი ქართველების ეროვნული ცნობიერების მაცოცხლებელი ძირები ჩვენც უნდა ვუზრუნველყოთ. მით უფრო, რომ როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ „ბოლო ათწლეულში საქართველოსა და თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა თურქეთში მცხოვრებ ქართველებში გამო-

<sup>1</sup> ნინო ოქროსცვარიძე, ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე), თბ., 2012, გვ. 25.

<sup>2</sup> ეკა აბაშიძე, აქ ჯერ ქართველს ქართველი არ მოუკლავს // კვირის პალიტრა, 2013, #51(1011).

იწვია მიძინებული ქართული ცნობიერების გამოღვიძება<sup>1</sup>. საგულისხმო და სასინჯარულოა, რომ თანამედროვე თურქეთის საქარიას პროვინციის გეივეს რაიონის სოფელ ნურუოსმანიეს სკოლაში შექმნილია ქართული ენის ჯგუფი და მშობლიურ ენას სწავლობენ. აღნიშნული ჯგუფი პირველი ქართული სასკოლო ჯგუფია თურქეთის ქართველთა შორის<sup>2</sup>; ასევე, ვფიქრობთ, პირველი მერცხლის ფუნქციას შეასრულებს, რიზეში, ჩამლიჰემინის ერთ-ერთი სოფლის მოსახლეობის მიერ სოფლისთვის ძველი, ლაზური სახელწოდების დაბრუნება. სოფელ მურათს ისევ ქომილო დაერქვა<sup>3</sup>. ყველაფერი ეს კი ნიშნავს, რომ ეროვნული ცნობიერების პირველმდგენი ძირები დასაშრეტად არაა განწირული.

ცნობილია, რომ როგორც ეთნიკური, ასევე ეროვნული თვითშეგნება ერთ-ერთი მძლავრი სტიმულია ეთნოსისა თუ ერის სულიერი კულტურის განვითარე-

---

<sup>1</sup> მამია ფაღავა, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.V, ბათუმი, 2003, გვ. 10.

<sup>2</sup> ერეკლე დავითაძე (ერდოდან შენოლი), ქართული ენის ჯგუფი ნურუოსმანიეს სკოლაში // ბათუმის უნივერსიტეტი, 2015, #3.

<sup>3</sup> [www.diken.com.tr/ilk-lazca-koy-adi-verildi-murat-koyu-komilo-geldi/](http://www.diken.com.tr/ilk-lazca-koy-adi-verildi-murat-koyu-komilo-geldi/)

ბის საქმეში. თურქეთელი და ირანელი ქართველების როლის შესწავლა ქართული სულიერების კულტურაში (თუნდაც ის ფაქტი, რომ „ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანული საკულტო ძეგლების არსებობა ჩვენებურთა უდიდესი ძალისხმევის შედეგია<sup>1</sup>, რომელთა მიმართ მათი მოკრძალება სავსეა ეროვნული სიამაყის გრძნობით“<sup>2</sup>), მომავალ მკვლევარებს ელოდება. ამ თვალსაზრისითაც, ვალში ვართ მათ წინაშე. ჩვენ არ უნდა დავუშვათ ის შეცდომა, რაც 1829 წელს ახალციხის მაზრის საქართველოსთან შემოერთების დროს დაუშვეს ქართველებმა: მათ არ იცოდნენ ან დაავიწყდათ, რომ ამ მაზრაში ბევრი გამუსლიმებული ქართველი იყო და ისინი თურქებად მიიჩნეის<sup>3</sup>.

<sup>1</sup> მე-20 საუკუნის 10-იანი წლების ზემო აჭარაში ძველი ეკლესიების მოვლა-პატრონობის შესახებ შესანიშნავ ცნობებს გვაწვდის იმ პერიოდის თვითმხილველი სტეფანე ქემხაძე, - იხ., სტეფანე ქემხაძე, მოგონებანი, ბათუმი, 1958, გვ. 51.

<sup>2</sup> ნაილა ჩელევაძე, ქრისტიანული და ეროვნული იდენტობის წარმოდგენათა ურთიერთმიმართებისათვის (სამხრეთ-დასალოთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) // რსუ ქრისტიანული კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის („ჩვენი სულიერების ბალავარი“) მასალები, ბათუმი, 2009, გვ. 111.

<sup>3</sup> ევგენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, თბ. 2005, გვ. 54.

## ერი და სახელმწიფო - ერთიერთმიმართების რამდენიმე ასპექტი

ერისა და სახელმწიფოს მიმართების საანალიზოდ ცნება „ერის“ განსაზღვრაა საჭირო. მოგეხსენებათ, ერის ცალსახად, ერთმნიშვნელოვნად მიღებული დეფინიცია არ არსებობს, საყოველთაოდ აღიარებული არც ისაა, თუ რა ნიშნებს უნდა ატარებდეს ეთნოსი, რომ ის ერად ჩიათვალოს და განსხვავდეს სხვა ეთნოსოცი-ალური ერთობებისაგან. საბჭოთა და ხშირ შემთხვევა-ში პოსტსაბჭოთა სივრცეშიც წარმატებით „მუშაობს“ ერის სტალინური განსაზღვრება, რომლის მიხედვი-თაც, ერი ხასიათდება შემდეგი ოთხი ნიშნით – საერ-თო ტერიტორია, საერთო ენა, საერთო ეკონომიკური წყობა, საერთო ფსიქიკური წყობა, რაც კულტურაში ვლინდება<sup>1</sup>. დასავლურ ლიტერატურაში კი ფრანგი მწერლისა და ისტორიკოსის ერნესტ რენანის მიერ

---

<sup>1</sup> სტალინი, მარქსისზმი და ნაციონალური საკითხები, იხ., ი.ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ.2, თბ., 1947, გვ. 326.

მოცემული განსაზღვრებაა აღიარებული, რომლის მიხედვითაც, ერი არის დიდი სოლიდარობა. მის საფუძველშია წმინდა გრძნობები წარსულში გაღებული მსხვერპლისა და იმ მსხვერპლისა, რომელიც მომავალში გაიღება. ერი რენანთან სამი ნიშნით ხასიათდება. ესაა – ერთიანი წარსული, ერთიანი ნება აწმყოში და ერთიანი სამოქმედო გეგმა მომავალში. ერის არსებობა, რენანის მიხედვით, ყოველდღიური პლებისციტია.

არსებობს ერის განმარტების სტიუარტ მილისეული ცდაც, რომლის მიხედვითაც ერად ჩამოყალიბების მთავარ პირობად პოლიტიკური ბედისა და ისტორიის ერთობაა დასახელებული<sup>1</sup>. ამ განსაზღვრების მიხედვით, ერი ისეთ პოლიტიკურ ინსტიტუტთანაა კავშირში, როგორიცაა სახელმწიფო. მაქს ვებერმა, ერთ-ერთმა პირველმა, აღნიშნა, რომ ერი არის პოლიტიკური კატეგორია და იგი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ სახელმწიფოსთან კავშირში. ერი გრძნობათა ერთობლიობაა, რომელმაც თავისი ადეკვატური გამოხატულება მხოლოდ საკუთარ სახელმწიფოში შეიძლება ნახოს. ვებერის აზრით, ერი არსებობს იქ, სადაც

<sup>1</sup> Э. А. Поздняков, Философия политики, М., 1994 т. 2, гл. 9.



ხალხს სჯერა, რომ ის ერია და აქვს მისწრაფება საკუთარი სახელმწიფოს შექმნისკენ. მაშასადამე, ვებერის მიხედვით ჯერ არსებობს ერი, შემდეგ სახელმწიფო.

გერმანელი ისტორიკოსი ფრიდრიხ მენიკე ერისა და სახელმწიფოს მიმართების ორი მოდელს ასხვავებს. პირველი მოდელი – ეს არის „ერი – სახელმწიფოს“ მოდელი, რომელსაც მიეკუთვნება ერისა და სახელმწიფოს ვებერისეული მიმართება. ამ მოდელით ჯერ ყალიბდება ერი, როგორც კულტურული ერთობა, შემდეგ კი იგი ქმნის ეროვნულ სახელმწიფოს და ეროვნული სახელმწიფო წარმოადგენს ერის ინტერესების გამოხატვის, დაცვისა და განვითარების საშუალებას.

მეორე მოდელი – ესაა „სახელმწიფო – ერის“ მოდელი, რომლის მიხედვით ერი ყალიბდება სახელმწიფოს შიგნით<sup>1</sup>. ეს პროცესი ემყარება საერთო სუვერენიტეტის საფუძველზე წარმოშობილ საერთო ინსტიტუტებს, რომლებიც თანდათანობით შლიან ადრე არსებულ კულტურულ განსხვავებებს სახელმწიფოს

---

<sup>1</sup> თანამედროვე მსოფლიოში 5000-ზე მეტი ენისა და დიალექტის მატარებელი 2000 ათასზე მეტი ეთნოსი დაახლოებით 200 სახელმწიფოშია გაერთიანებული.

შიგნით მცხოვრებ ეთნოსებს შორის. ერის და სახელმწიფოს მიმართების ამ მოდელს სხვანაირად „ერი – ქვაბის“ მოდელსაც უწოდებენ და სამაგალითოდ მოჰყავთ აშშ, სადაც სხვადასხვა ეთნოსები ერთ ერად გადაულდებიან<sup>1</sup>.

„სახელმწიფო – ერის“ კონცეფციის საინტერესო წარმომადგენელია ხოსე ორტეგა ი გასეტი, მისი აზრით, ფრანგი, იტალიელი, გერმანელი თუ ესპანელი ერები, მხოლოდ მაშინ წარმოიშვნენ, როცა საკუთარი სახელმწიფოები შექმნეს. ე.ი. სახელმწიფოებმა წარმოშვა ერები<sup>2</sup>. გასეტისთან სახელმწიფო ახდენს იმ თავდაპირველ სხვაობათა ნიველირებას, რაც სისხლით ნათესაობით, ენისა თუ ტერიტორიის სხვაობით იყო გამოწვეული, ანუ გასეტისთან ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ტერიტორია კი არაა სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზი (სისხლით ერთობას, როგორც ერის ნიშანსაც, ჰყავს თავისი მომხრეები<sup>3</sup>), პირიქით, სახელმწიფოა ენობრივი თუ სისხლისმიერი ერთიანობის

---

<sup>1</sup> ენდრიუ ჰეივუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, თბ., 2004, გვ. 184.

<sup>2</sup> ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ., 2003, გვ. 15.

<sup>3</sup> ნოდარ ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბ., 1990, გვ. 99.

მიზეზი<sup>1</sup>. გასეტისთან სახელმწიფო გულისხმობს სხვა-დასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის ხელშეკრულებას ერთობლივი საქმიანობის განსახორციელებლად და საბოლოო ანგარიშით, მიზნად ისახავს თანაცხოვრების გარკვეული წესის დამკვიდრებას, მომავლის ერთად შენების პროექტის შექმნას. ამასთან, სახელმწიფო, მისივე სიტყვებით, რომ ვთქვათ, დიდი „მთარგმნელი – პოლიგლოტია“, მას ხელეწიფება მრავალფეროვნების ერთი მიზნისკენ წარმართვა და განსხვავებულების ერთ ერთად ჩამოყალიბება. „სახელმწიფო – ერის“ ტრადიციული მოდელისაგან განსხვავებით, გასეტი, ხშირ შემთხვევაში, „სახელმწიფოს“ და „ერს“ – „ნაციას“ არ განასხვავებს. იგი „მასების ამბოხში“ ამბობს: „რა განასხვავებს ნაციონალურ სახელმწიფოს (ესე იგი იმას, რასაც ამჟამად ერს ვუწოდებთ) სახელმწიფოთა სხვა ტიპისაგან, როგორცაა, მაგალითად, ქალაქი-სახელმწიფო“<sup>2</sup>, როგორც ვხედავთ, აქ პირდაპირი ტოლობის ნიშანია დასმული ნაციონალურ სახელმწიფოსა და ერს შორის. სხვათა შორის, ამგვარად ესმის „ერი“ ანუ „ნაცია“ თანამედროვე საერთა-

---

<sup>1</sup> ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ. 1993, გვ. 184.

<sup>2</sup> ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ. 1993, გვ. 185.

შორისო სამართალსაც, მაგალითად, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, სულაც არაა ერების გაერთიანება, არამედ სახელმწიფოთა გაერთიანება, ან კიდევ, ვთქვათ, ეროვნული ვალუტა არაა ერის ვალუტა, სახელმწიფოს ვალუტაა და სხვა. როგორც ჩანს საერთაშორისო სამართლის ფუძემდებლურ დოკუმენტებში, სიტყვა „ნაცია“, რომელსაც ვთარგმნით, როგორც ერს, ხოლო ერში გვესმის ეთნოსი, ანუ როცა ვამბობთ ქართველი ერი, ვგულისხმობთ ქართველ ეთნოსს, ანუ წარმოშობით, ეთნიკურად ქართველებს, სხვა მნიშვნელობითაა ნაგულისხმევი, ვიდრე ეთნოსი. ინგლისურსა და ფრანგულში სიტყვა „ნაციას“ პოლიტიკური დატვირთვა აქვს და აღნიშნავს სახელმწიფოს მთელ მოქალაქეთა ერთობლიობას, ანუ მას აქვს საერთო-მოქალაქეობრივი შინაარსი. სხვათა შორის, ძველ ქართულში სიტყვა ერი მსოფლიო კაცს, ჯარს აღნიშნავდა<sup>1</sup> ქუდზე კაცის გაგებით და აქაც სიტყვა „ერი“ პოლიტიკური მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ, რაც გულისხმობს, რომ ერი არაა ეთნოსის ტოლფასი კატეგორია. ამ გაგებიდან ამოდის ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილიც, რომელიც აღ-

<sup>1</sup> საბა, ლექსიკონი ქართული, ტ.1, თბ. 1991, გვ. 241.

ნიშნავს, რომ ეთნოსი არის ერის შექმნის მასალა და ერი არის ადამიანთა გარკვეული რიცხვის ერთობა ისტორიული ბედისწერის წინაშე, იგი არ განისაზღვრება, არ განიმარტება ეთნიკურად<sup>1</sup>. ასევე, ვებსტერის ამერიკულ ლექსიკონში სიტყვა ერის (Nation) ერთ-ერთი მნიშვნელობის მიხედვით, ერი არის პოლიტიკურად ორგანიზებული ხალხი, რომელსაც აქვს საერთო ტერიტორია და ჰყავს საერთო მთავრობა<sup>2</sup>. ამასვე ამბობდა გამოჩენილი ესპანელი მოაზროვნე ხოსე ორტეგა ი გასეტი, მისი აზრით, „ერი საზოგადოებრივი ძალაუფლებისა და მისდამი დაქვემდებარებული მოქალაქეების ერთობას ნიშნავს“<sup>3</sup>. როგორც ვხედავთ, ერის, ანუ ნაციის ცნებაში ევროპული აზროვნება თითქმის ყოველთვის სახელმწიფოს გულისხმობს და არა ეთნოსს. მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატი, ანუ ნაციონალური ჩემპიონატი, სახელმწიფოს პირველობაა და არა ეთნოსების ჩემპიონატი; ეროვნული ზოოპარკი, ნაციონალური, ანუ სახელმწიფო ზოოპარკია და არა ეთნიკურად ერთგვარი ცხოველების თავმოყრა და ა.შ.

---

<sup>1</sup> მერაბ მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992, გვ. 172.

<sup>2</sup> Webster's New Amerikan Dictionary, 1995, p. 345.

<sup>3</sup> ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1993, გვ. 190.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, „სახელმწიფო – ერის“ კონცეფციის მიხედვით, სახელმწიფოს მიერ ერის ჩამოყალიბება ერთჯერადი პროცესი, ასე ვთქვათ, ერთჯერადი აქტი როდია, იგი მუდმივი პროცესია, ანუ ერი არ არის პროცესის შედეგი, იგი თვით პროცესია, ცოცხალი ორგანიზმია, რომლის არსებობა მუდამყაჟს უნდა მჟღავნდებოდეს ყოველდღიური პლემბისციტის სახით<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, „სახელმწიფო, გასეტის მიხედვით, უწინარეს ყოვლისა, მოქმედების პროექტი და თანამშრომლობის პროგრამაა“<sup>2</sup>, გამოდის, რომ გასეტისთან სახელმწიფო უკვე არსებული ერთიანობისა და ახალი ერთიანობისაკენ დაუცხრომლად მსწრაფი წარმოებაში ჩაშვებული პროექტია, თუ იგი არ ხორციელდება, მისი მონაწილეები ისე მიმოიფანტებიან, რომ მათ ერთობას არ შევლის არც ენის, არც ტერიტორიის ერთიანობა და არც სისხლისმიერი ნათესაობა, რადგან ერი, როგორც აღვნიშნეთ, ამ სამი კომპონენტით გაერთიანებულ ერთობაზე მეტია. ეს სამი კომპონენტი (ენა, ტერიტორია, სისხლი) ქმნის ეთნოსს, რომელიც არის მასალა ერის ჩამოყალიბებისათ-

<sup>1</sup> ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1993, გვ. 194.

<sup>2</sup> ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1993, გვ. 180.

ვის და არა საკუთრივ ერი. ერი ადამიანთა გათიშულ-განცალკევებული ჯგუფების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა საერთო მიზნის მისაღწევად. ამ საერთო მიზანს სახელმწიფო უნდა აპროექტებდეს.

ერი, როგორც პროცესი, სახელმწიფოს მიერ დასახული ერთიანი მომავლის განხორციელების პროცესია სხვადასხვა ხალხის, ეთნოსების მიერ. ერი უფრო მომავალზე ორიენტირებული ერთობაა, ვიდრე წარსულზე. „ერი რომ მხოლოდ წარსულითა და აწმყოთი ცოცხლობდეს, არავინ აღარ დაიცავს თავის სამშობლოს“,<sup>1</sup> – შენიშნავს გასეტი. მომავალში ერთობლივი მოქმედების გეგმა ერს განუყოფელ მთლიანობად აერთებს. შესაძლებელია ეთნოსებს ჰქონდეთ საერთო წარსული, საერთო ენა და ჰყავდეთ საერთო წინაპრები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი არ შედიოდნენ ერთი ერის (ნაციის - სახელმწიფოს) შემადგენლობაში, რატომ? იმიტომ, რომ საერთო არა აქვთ ის, რაც მთავარია, კერძოდ, მომავალი<sup>2</sup>.

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს ერთ ერში (ნაციაში – სახელმწიფოში) შემავალი

---

<sup>1</sup> ხოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბობი, თბ., 1993, გვ. 195.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 198

სხვადასხვა ეთნოსებისათვის მომავლის ერთად შენების ერთიანი პროგრამის შეთავაზებას, ვერც საარქივო მასალები, ვერც საერთო წარსულის ხსოვნა, ვერც საერთო წინაპრები, ვერც სამშობლოს სიყვარული ვერ იხსნის მას დაშლისაგან. მხოლოდ მომავლის შენებისაკენ საერთო სწრაფვისა და ერთიანი სამომავლო მიზნის შემთხვევაში იძენს ძალას საარქივო მასალაც, ერთიანი წარსულიც, საერთო წინაპრებიც, სამშობლოს სიყვარულიცა და იქცევა იმ საძირკვლად, რასაც ერის (ნაციის – სახელმწიფოს) განუყოფელი მთლიანობა უნდა დაეფუძნოს.

მაშასადამე, ერის (ნაციის – სახელმწიფოს) მშენებლობაში წარმმართველი როლი სახელმწიფოს ენიჭება და ეს მუდმივი პროცესია. მის ყოველდღიურ უნარზეა დამოკიდებული სხვადასხვა ეთნოსთა ერთ ერად (ნაციად – სახელმწიფოდ) გაერთიანების სიმტკიცე, გამძლეობა და მომავალი.



## გამოყენებული ლიტერატურა

1. ეკა აბაშიძე, აქ ჯერ ქართველს ქართველი არ მოუკლავს // კვირის პალიტრა, 2013, #51(1011).
2. სერგი ავალიანი, ჩემი განვლილი ფილოსოფიური ცხოვრების ნიშანსვეტები, თბ., 2013.
3. გიორგი ანდრიაძე, უცნობი ისტორიული საქართველო (ქრისტიანული ლაზეთი), თბ., 2012 .
4. გიორგი ანთელავა, ისლამი და საფრანგეთში ემიგრირებული თურქების ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხი // „პოლიტიკა“, 5, თბ., 2002.
5. აბესალომ ასლანიძე, ისლამი და თანამედროვეობა, თბ., 2013.
6. ი. ბარკალაია (მესხი), საუბარი აჭარლების მიმართ, გაზეთი „სახალხო საქმე“, №513, 29.04.1919.
7. ირმა ბაგრატიონი, „ქართული ქრისტიანობის“ ეროვნული ნიშნების საკითხისათვის // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2012. ტ. IV.
8. ანრი ბერგსონი, ცნობიერება და სიცოცხლე, თბ., 2007.
9. ნ. ბოსტაშვილი, იასე რაჭველიშვილი-მუხუზელა, თბ., 1991.
10. მერი გაბედავა, კონფესიები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში // ომი, სახელმწიფო და იდენტობა, თბ., 2010.
11. ნოსე ორტეგა ი გასეტი, მასების ამბოხი, თბ., 1993.

12. დავით გეგეშიძე, ქართული ეროვნული ცნობიერება და რელიგიები // ფილოსოფიური ძიებანი, 1999, #3.
13. ირმა გოგოლიძე, რელიგიათა როლი საერთაშორისო ურთიერთობებში // ენა და კულტურა, №11, 2014.
14. ვახტანგ გურული, ეროვნული ცნობიერება, სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ორიენტაცია, თბ., 2008.
15. ზურაბ დავითაშვილი, ნაციონალიზმი და გლობალიზმი, თბ., 2003.
16. ერეკლე დავითაძე (ერდოდან შენოლი), ქართული ენის ჯგუფი ნურუოსმანიეს სკოლაში // ბათუმის უნივერსიტეტი, 2015, №3.
17. სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში, თბ., 2009.
18. ვახტანგ ერქომაიშვილი, ერი და იდეოლოგია // ვახტანგ ერქომაიშვილი, ადამიანი, თავისუფლება, იდეოლოგია, თბ., 2002.
19. ვახტანგ ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ., 2001.
20. ეკვენი ვეიდენბაუმი, ბათუმიდან ართვინამდე, თბ., 2005.
21. გიგი თევზაძე, ქართველი ერის დაბადება. იდენტობა და იდეოლოგია. პოლიტეტალური და სოციოეტალური იდენტობები. ეროვნულობა და რელიგიურობა // ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), თბ., 2009.

22. გურამ თევზაძე, ეროვნული იდენტობა, როგორც არჩევანის შედეგი // შემეცნება და ზნეობა. ფილოსოფიური წერილები (ეძღვნება ლერი მჭედლიშვილის 75 წლის იუბილეს), თბ., 2012, 150.
23. იდენტობის საკითხი // „პოლიტიკა“, 5, თბ., 2002.
24. ელუარდ კოდუა, ნაციონალიზმის ადგილი ღირებულებათა იერარქიაში // პოლიტიკა, 1996, №7-8.
25. კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, თბ., 2002.
26. ჯანსუღ კორძაია, ქართული ეროვნული ცნობიერება, როგორც ქართული ფენომენის განმსაზღვრელი // ჩვენ – ქართველნი, თბ., 1998.
27. ჯანსუღ კორძაია, ეროვნული ცნობიერების რაობის შესახებ // რანი ვართ ქართველნი, 1997, №2.
28. მერაბ მამარდაშვილი, საუბრები ფილოსოფიაზე, თბ., 1992.
29. მართლმადიდებელი ეკლესიის როლი ქართული ნაციონალური იდენტობის ჩამოყალიბებაში (XX საუკუნის ბოლო – XXI საუკუნის დასაწყისი), თბ., 2013.
30. შორენა მახაჭაძე, რელიგიური იდენტობის პრობლემა ზურაბ გორგილაძის პოეზიაში // ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი, თბ., 2015. ტ. VII.
31. ვახტანგ მენაბდიშვილი, თვითშემეცნება, როგორც ფენომენალური შემეცნება, ქუთაისი, 2009.

32. გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ქართული პროზა, წიგნი I, თბ., 1982.
33. ერმილე მესხია, ენა ეროვნულ ცნობიერებასა და კულტურაში („ცხოვრება ფარნავაზისას“ მიხედვით) // რსუ ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი, ბათუმი, 2009.
34. არჩილ მეტრეველი, რელიგიის სამართლის საკითხები: მრავალფეროვნება, დისკრიმინაცია, სექტა, თბ., 2015.
35. გ. ნებერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
36. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს ისტორიაში ქრისტიანული რელიგიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი როლის შესახებ // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი. სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 2010. ტ. II.
37. ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ფრიდონ ხალვაშის ეროვნულ-რელიგიური თვალთახედვის ზოგიერთი საკითხი // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი, ჩვენი სულიერების ბალავარი, თბ., 2012. ტ. IV.
38. ვლ. ნორაკიძე, ქართული ეროვნული ხასიათის კვლევის პრობლემა ეთნიკურ ფსიქოლოგიაში // მნათობი, 1988, №7.
39. ნოდარ ნათაძე, ერი და ეროვნული კულტურა, თბ., 1990.
40. გ. ნათაძე, მ. ჯიშკარიანი, ქართული ცნობიერება, თბ., 1999.

41. ნინო ოქროსცვარიძე, ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირი-ეს მოსახლეობის მაგალითზე), თბ., 2012.
42. ვალერიან რამიშვილი, თვითშემეცნების პრობლემის დაყენებისთვის // საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987, #2.
43. სერგი რატიანი, რამდენიმე შენიშვნა ქართველების რელიგიურობისა და ტრადიციულობის შესახებ // ქართული საზოგადოების ღირებულებები, თბ., 2006.
44. სერგო რატიანი, „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება // ქართველი ერის დაბადება: ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი, 2007), თბ., 2009.
45. საბა, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ. 1991.
46. „საქართველოსთვის შევაკვდებით ყველას“, კვირის პალიტრა, 2015, № 48. 30.11-06.12.
47. აპოლონ სილაგაძე, ქართული იდეა, თბ., 2010.
48. მიხეილ სვანიძე, თურქეთის ისტორია, თბ., 2007.
49. სტალინი, მარქსის ზმი და ნაციონალური საკითხები, იბ., იბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, თბ., 1947.
50. ოთარ ტაბიძე, ადამიანის გონითი ყოფიერების პრობლემა // ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწილი VII, თბ., 1993.
51. „ტერორისტებს სამუდამო ჯოჯოხეთი ელით“, კვირის პალიტრა, 2015, № 47. 23-29.11.

52. ავთანდილ ტუკვაძე, პოლიტიკური კულტურის ეროვნული თავისებურებები // ცხოვრება და კანონი, #3 (23), 2013.
53. მამია ფალავა, შავშური ჩანაწერები, თბ., 2011.
54. მამია ფალავა, ენობრივი სიტუაცია სამხრეთ საქართველოში და სამხრული მეტყველების დიალექტური შედგენილობის საკითხი // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ.V, ბათუმი, 2003.
55. ფრენსის ფუკუიამა, ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, თბ., 1999.
56. ცირა ფუტკარაძე, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებები და ღირებულებითი ორიენტაციები, ნაწილი პირველი, ბათუმი, 2011.
57. ცირა ფუტკარაძე, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების მე - კონცეფცია // ინტელექტი, 2004, #1(18).
58. ცირა ფუტკარაძე, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის ცნების მნიშვნელობის ასახვა ქართველის ცნობიერებაში // ქესუ, განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2005, #1(6).
59. ცირა ფუტკარაძე, „Христианская И Магометанская Религия В Аджарии - Краткий Психологический Анализ“ // ქესუ, განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2005, #2(7).
60. ცირა ფუტკარაძე, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველის ცნების მნიშვნელობის ასახვა ქართველის ცნობიერებაში // ქესუ, განათლების მეცნიერებანი და ფსიქოლოგია, 2005, #1(6).

61. ქართლის ცხოვრება IV.
62. სტეფანე ქემხაძე, მოგონებანი, ბათუმი, 1958.
63. ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, თბ., 2006, (49.10).
64. გიორგი შუმანაშვილი, ღირებულება და საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, თბ. 1990.
65. გურამ ჩაგანავა, ეროვნული იდენტობის ფსიქოლოგიური პრობლემები და მოქალაქეობა // სოციალურ მეცნიერებათა საკითხები, I, თბ., 2009.
66. ნაილა ჩელებაძე, ქრისტიანული და ეროვნული იდენტობის წარმოდგენათა ურთიერთმიმართებისათვის (სამხრეთ-დასაღეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) // რსუ ქრისტიანული კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის („ჩვენი სულიერების ბალავარი“) მასალები, ბათუმი, 2009.
67. მარინე ჩიტიშვილი, რელიგიურობის ფსიქოლოგია: ემპირიული კვლევები, თბ., 1998.
68. ნინო ჩიქოვანი, რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში, თბ., 2006.
69. მალხაზ ჩოხარაძე, ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები, ბათუმი, 2015.
70. მალხაზ ჩოხარაძე, სამუსლიმანო საქართველო ქართველთა ცნობიერებაში, ბსუ-ს მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული, III. ბათუმი, 2002.

71. მალხაზ ჩოხარაძე, ძველი ბათუმი და ჭოროხის აუზის ქართველთა ისტორიული მემკვიდრეობის საკითხები // გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2014, №2.
72. მალხაზ ჩოხარაძე, ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე // შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქრისტიანული კულტურის კვლევის ცენტრი, ბათუმი, 2009.
73. მალხაზ ჩოხარაძე, ეროვნული ცნობიერების საკითხები სამხრეთ-საქართველოში XIX საუკუნიდან დღემდე და შავშეთის ქართული სოფლები, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, კრებული VI, ბათუმი, 2009.
74. ალექსანდრე ჩხაიძე, ჩვენებურები. დოკუმენტური მოთხრობა თურქეთში მცხოვრებ თანამემამულეებზე და კიდევ სხვა ამბებზე, ბათუმი, 1991.
75. მამუკა ჩხაიძე, ქართული ცნობიერების მეცნიერული კვლევის სათავეებთან // „დღევანდლობა და სახელმწიფოებრივი ცნობიერების პრობლემები“, სამეცნიერო-საზოგადოებრივი კონფერენცია, თბ., 1998, 1.
76. სულხან ცაგარელი, ცნობიერება, თბ., 2008.
77. გიორგი ცხადაია, რელიგიისა და პოლიტიკის ურთიერთობის ახალი ფორმები // სოლიდარობა, 2010, №1(34).
78. მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, თბ., 1990.
79. ია წულაია, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ღირებულებითი პრიორიტეტები // ზღვარი, 2003, №1.



80. ფრიდონ ხალვაში, შეიძლება თუ არა მუსლიმანი იყოს ქართველი, ბათუმი, 1994.
81. შოთა ხინჩაგაშვილი, რელიგიური და კულტურული იდენტობის პრობლემები კავკასიის ხალხებში (პოსტსაბჭოთა პერიოდი), თბ., 2007.
82. ბესარიონ ჯორბენაძე, ენა და კულტურა, თბ., 1997.
83. ენდრიუ ჰეიგუდი, პოლიტიკური იდეოლოგიები, შესავალი კურსი, თბ., 2004.
84. Webster' s New Amerikan Dictionary, 1995.
85. А. Г. Агаев, Нация, ее сущность и самосознание // Вопросы историй, 1967, №7.
86. Гидденс Э. Социология, М., 1999.
87. В.М. Жаринов, Философские науки в таблицах и схемах, М., 2000, стр. 22-23.
88. Марьяна Напсо, Право на этническую идентичность: правовые и социально-философские аспекты признания в современных условиях // Государство и право, 2011, № 8.
89. Общая теория государства и права. Академический курс в 2-х томах // Отв. Ред. Проф. М. Н. Марченко, т.1, М., 1998
90. Э. А. Поздняков, Философия политики, М., 1994 т. 2
91. С. А. Янжинов, Основные концептуальные методологические подходы к исследованию феноменов «нация» и «етничность» // Философия права, 2009, №4.

## შინაარსი

ეროვნული ცნობიერების შესწავლის აუცილებლობა და მნიშვნელობა	3
ეროვნული ცნობიერების არსი, ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები	9
ეროვნული ცნობიერების შინაარსი და ადგილი ცნობიერების სტრუქტურაში	16
ეროვნული ცნობიერების სტრუქტურა	24
ეროვნული თვითცნობიერების რაობა	31
ეროვნული ცნობიერება და რელიგია	37
ეროვნული ცნობიერების სიმყარის ფაქტორები და საფრთხეები	48
ერი და სახელმწიფო - ურთიერთმიმართების რამდენიმე ასპექტი	70
გამოყენებული ლიტერატურა	80

გამომცემლობის რედაქტორი: ლალი კონცელიძე

ტექნიკური რედაქტორი: ედუარდ ანანიძე